# სახალხო გაზეთი

№ 276 კვირა, 10 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 276

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით ხრამბა „ხღრამან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

**შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 14 აპრილს.**
**ამ ნომერში ექვსი გვერდია.**

---

სამშაბათს, 12 აპრილს, წმ. ნინოს ეკლესიაში, კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქმნება წლის წირვა, მეგლის კურთხევა და პანაშვიდი

**თამარა** ლავრენტი ივ- ლაძის ასულის **ცეზენპოვის**

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის მშობლები: ეფროსინე ლევანის ასული და მეუღლე ლავრენტი დავითის ძე ივლაძენი შვილებითურთ და მეუღლე განსვენებულისა მიხეილ ნიკოლოზის ძე ცეზენპოვი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 ს. ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. (1—550—1)

---

**ქართული თეატრი**
შაბათს, 16 აპრილს,
**ი. გრიშაშვილი**
**ქართველ მწერალთა** დახმარებით და ბარბარე რონელისა და ოლღა ლეჟავას მონაწილეობით
დახდგამს ქართულ წარმოდგენას:
წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა:
## „ღალატი"
ისტ. ლეგენდა 5 მოქმ., თარგ. გრ. ყიფშიძისა.
მონაწილეობას მიიღებენ:

ბ. რონელი—ზეინაბი.
ნ. კონსისტი—რუქაია.
ოლ. ლეჟავა—გაიანე.
განდეგილი—ისახარი.
ბ. კორინთელი—მაიკო.
ალ. ყანჩელი—სოლეიმან-ხანი.
ი. მაჭავარიანი—ოთარ-ბეგი.
გრ. ყიფშიძე—ანანია გლახა.
ი. ელიფთერიძე—დათო.
სვ. ყიფიანი—ერეკლე.
დ. ნახუცრიშვილი—საბა-ბერი.
სოფ. მგალობლიშვილი—ბესო.
დ. დუმბაძე—ყარა-უსუფი.
კ. თუმანიშვილი—ალ-რაზაკი.

ადგილ. ფასი საბენეფისოა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. დასაწყ. სად. 8 ს.
მთავარი რეჟისორი ვ. გუნია. სამხატვრო ნაწილის გამგე ი. ნიკოლაძე.
ადმინისტრატორი პართენ გოთუა. (7—1218—2)

---

**ქართული თეატრი**
## სადღესასწაულო რეპერტუარი
იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ორშაბათს, 11 აპრილს, ალ. ყაზბეგის ცნობილი პიესა **ქეთევან წამებული** (კონსტანტინე ბატონიშვილი) ისტორიული დრ. 5 მოქ. და 7 სურ.

სამშაბათს, 12 აპრილს პირ-ლად ახალი პიესა გ. ფოცხიშვილისა **ცხოვრების გარემო** დრამა 4 მოქმედ. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ოთხშაბათს, 13 აპრილს
ე. ნინოშვილის ცნობილი მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა
**ქრისტინე** დრ. 4 მოქმ. ირეთელისა. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. | **ორშაბათი** ვოდ. 1 მოქ. ირეთელისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადგილების ფასები ერთი სამად დაკლებულია.
რეჟისორი ვ. გუნია. (2—217—2)

---

**სახალხო სახლი**
ორშაბათს, 11 აპრილს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ეფემია მესხის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:
## ნიშანი უფლა-ქცევაში
დრამა 4 მოქ. თარგ. მალაქიაშვილისა.
ბილეთების ფასი 50 კ.-დან 5 კ.-მდე. რეჟისორი ბ. მდივანი. (2—1151—2)

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**
ოთხშაბათს, 13 აპრილს,
ქ-ნნ მესხის, ლეჟავას, პიერრეტას, ჩერქეზიშვილს, და ბ-ნ აბაშიძის, არადელის, მდივანისა და მატარაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
„ღალატი", დრამა-ლეგენდა 5 მოქმ., თარგ. გ. ყიფშიძისა. მონაწილეობენ: ქ-ნნი გარეკაზელი, ლეჟავა, მესხი, პიერეტა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, ანაშვილი, ზურაბიშვილი, მდივანი, მეტრეველი, მატარაძე, ნარი, ფრონისპირელი, შარაშიძე და სხვა.
დასაწყისი 8 ს. ბილეთების ფასი 5 კ.-დან 1 მ.-დე. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში 10 აპრილიდან. კასა ღიაა დილით 12—2 ს. საღ. 5—9 საათამდე.
1—551—1) ადმინისტ. ა. კახელი.

---

**გამოვიდა და იყიდება** საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე"
ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფასი 30 კაპ. (თვ.—1224—2)

---

# ტფილისის კერძო სამკურნალო
**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ბედიევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
**დადიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
**ფირალიშვილი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.
**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.
**ხოხოლევსკი ვ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
**ხულაკოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—439)

---

ნიკიფორე დავითის-ძე ერქომაიშვილი, ერმილე და მარიამ თაყაიშვილნი შვილებითურთ ულრმეს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც კითხვა იქნება და მათ უსაზღვრო მწუხარებაში თანაგრძნობა გამოუცხადა, როგორც პირადად აგრეთვე წერილობით და დეპეშით. (1—1181—1)

---

**ქ. ქუთაისში**
ქირურგიული და დედათა სნეულების
## სააავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
## ივ. ზოკერიასი
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—82)

---

## გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა პირველი წიგნი:
**„ეროვნულ პრობლემის გარშემო".**
ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).
ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა"-ს („Новая Рѣчь") წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—9)

---

## კანტორა აცხადებს რომ ხელის-მომწერთ, რომელთაც ხელის-მოწერის ფული 1 იანვრიდგან მხოლოდ 3 მან. აქვთ შემოტანილი, გაზეთის გზავნა მოესპობათ 20 აპრილიდგან.

---

**გოლოვინის პროსპექტი**
## ცირკი—სპორტი

11 აპრილს, 1911 წ. გაიხსნება საერთაშორისო ჩემპიონატი ფრანგულის
## ჭიდაობისა
ატლეტიკის პროფ. ი. ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით.
ყველა ჩამოსულ ფალავანთა საერთო გამოსვლა.
—დღეს სამი წყვილი იჭიდავებს—
ამის გარდა სენსაციურ ნომრების. გამოჩენილი პროგრამა. ურნიის მეფე-ქალი—მამაფოზა. ინგლის-ინდოეთელ არტის მონურ-ზონტის გამოსვლა. გამოფენილი ქალი ბორკილებით. გამოჩენილი ებრაელი ქალი მისვინჩესტერი. აუარებელი ახალი რამ.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
ჭიდაობის დასაწყისი დაახლოვებით საღამოს 11 საათზე. ბილეთები ცირკის კასაში იყიდება. (2—1216—2) დირექცია.

---

ორშაბათს 11 აპრილს, და სამშაბათს 12 აპრილს, დიდუბის ეკლესიის მახლობლად, მარცხნივ, გაიმართება
## კავკასიური ჭიდაობა
შემოსავლის ერთი ნაწილი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ გადაიდება.
11 აპრილს იჭიდავებენ: 1) მიხეილ ქურხული და ვანო თაბაგარი (დიღმელი). 2) შაშო ვერელი და კოლა ჭიაბერაშვილი. 3) თედო ქოქაშვილი და ნავთლუხელი. 4) დათა ვერელი და ტ. ნათლუხელი. 5) გარეკახელი და ვასო ბეკურაშვილი.
ჭიდაობის მოყვარულნიც იჭიდავებენ 12 აპრილს.
1) მიხეილ ქურხული და ლევან დემეტრაშვილი. 2) შაშო ვერელი და იასე გალყაშვილი (მარტყოფელი). 3) თედო ქოქაშვილი და ნიკო გარეჯელი. 4) დათა ვერელი და ბუთიკოშვილი (ავჭალელი). აგრეთვე იჭიდავებენ ჭიდაობის მოყვარულნიც.
(1—551—1) ადმინისტრაცია.

---

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი
## „კოლხიდა"
რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელ-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შაური. თვიური—ოთხი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება 3 მ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზ. „კოლხიდა"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-დე.
(10—) რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

---

ხუთშაბათს, 21 აპრილს, საღ. 7 საათზე ტფილისის საურთიერთო ნდობის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი) დანიშნულია **წლიური კრება**
## ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წევრთა
განსახილველად: ა) 1909 და 1910 წლების ანგარიშისა, ბ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა, გ) შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვისა 1911 წლისათვის და დ) ასარჩევად საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და საზოგადოების ახალის წევრებისა. (4—1220—3)

---

## ბაღი
# ედემი
მაქვს პატივი, გაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ბაღ ედემში** ყოველ-ნაირი შენობები: კაბინეტები და ფანჩატურები (ბესედკები) ხელ-ახლად შეკეთებულია; გაკეთებულია ახალი დიდი დარბაზი სცენით, მუსიკისათვის, რომლისათვისაც, გერმანიიდან მოწვეულია ჯერ რუსეთში უნახავი
**გერმანულ ქალ-ვაჟთა ორკესტრი (მთელი ოჯახობით),**
რომელთა მონაწილენიც დამღერიან და უკრავენ როგორც სიმებიანისა, აგრეთვე ჩასაბერ („დუხოვოი"-ს) საკრავებზე
**გ. ავგუსტოვის** მეთაურობით.
მუსიკა დაუკრავს 11 აპრილიდან ყოველ-დღე 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე და ღამის 10 საათ.-დან 2 საათამდე.
ბაღში არის პირველ-ხარისხოვანი ბუფეტი, ყოველ-ნაირ ადგილობრივი და საზღვარ-გარეთულ სასმელებით, აზიურ-ევროპიული სამზარეულოთი, სადაც ყოველ წამს მიიღებთ ცოცხალი თევზი.
მიკვეთავთ აგრეთვე სადილებსა და ვახშმებს.
(5—1223—2) „ედემი"-ს ბაღის პატრონი კ. ი. ბაქრაძე.

---

**ცნობილი ჰ. რველ ხარისხოვანი ფირმა ჩაის თესლისა**
## ს. ხრისტოდულიდისი
აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი
**ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში**
და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჩაის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—27)

---

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—22)

---

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
**დ. გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.
**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.
**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
**კოლომკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.
**უქლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.
**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.
**ხულაკოვი**—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.
**რუდენკო**—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**იოხელსონისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.
**ყოლამქაროვი**—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.**
კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—ნ.—78)

---

**ვაგზლის კერძო**
## სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
**ვ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ბ. ვ. ხოხოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
**წამლობა „606"-ით.**
(წ— 1090—35)

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—42)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. ვაჩეთის ქ. ტელეფონი N 816.

---

**ექიმი კბილისა ალ. კოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

---

**ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი**
კათოლიკების ქუჩა N 33.
საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰელქიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო მესაწვეებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზანისთვის გასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—35

---

**ექიმი ე. ჩაჩაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—35

---

**ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში**
იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—44

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
## მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ჟორდანიას ქ., N 20. (0—ნ.—93)

---

## სტუდენტი-ფილოლოგი
ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, მასწავლებლობაზე, „ვოლნოოპრედელიაუშჩიობაზე," და საიუნკრო სასწავლებლებში, აგრეთვე უსწორებს გაკვეთილებს ხელმისაწვდომ ფასებში. ცნობებისთვის მიმართეთ „სახ. გაზ." რედაქციაში (5—2)

---

**შემთხვევით**
## იყიდება
მიწა საბურთალოზე 403 ოთხკ. საჟენ. ოხინვალ-საგაბაშვილოს ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, ნიკო ქაჩაშვილთან. (0—6)

---

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩინის ქ., № 9. (უ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრისტე აღსდგა!

## გახსოვდეს სიკვდილი!..

ქრისტე აღდგა!

აღდგა წუთიერ დავიწყებისაგან და თავი დააღწია მოსპობას, რომელსაც მას უმზადებდა სიმართლის და მოძრავ სიცოცხლის მტერი ბოროტი ადამიანი.

აღსდგა და ძლევა-მოსილი, უვნებელი და განახლებული დაუბრუნდა ადამიანის სინიდისს, სადაც იგი არ მოკვდება და არ მიეცემა დავიწყებას, სანამ ადამიანი სატყვის მხეცს არ გაუთანასწორდება და არ უარჰყოფს თავის ადამიანობას.

„აღდგა“!

რა დიადი და არა-ჩვეულებრივი სიტყვაა! აღდგა. სძლია იმას, რისაც ყველა სულდგმულს ეშინიან—სიკვდილს და ხელმეორედ გაცოცხლდა.

მაგრამ ეს უდიდებულეს სულის განსაკუთრებითი ხვედრია, უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი, გაუგებარი, წარმტაცი და შეუძლებელი.

ჩვენ კი, ყოვლად-შემძლებელ ბუნების უცვლელ წესების მონანი დავიხოცებით და დავმიწდებით ისევე უსათუოდ, როგორც ყოველ დღეს მოსდევს ღამე და სიმწიფეს სიბერე. სიკვდილი სიცოცხლეს აჩენს და სიცოცხლე სიკვდილსა ჰქმნის.

სიკვდილ-სიცოცხლის წამალი და გვირგვინია.

გახსოვდეს, რომ მომაკვდავი ხარ. გახსოვდეს, რომ სამარეში არავინ ჩაგყვება და არას ჩაგატანენ გარდა სუდარის და ხუთიოდე ფიცრისა. რომ სიმდიდრე და სიღარიბე, სიხარული და მწუხარება, შური და მეგობრობა, გამარჯვება და დაბეჩავება, — რაც გწყინს, თუ გახარებს ყველაფერი აქა რჩება და სიკვდილის საზღვარს იქით არა წაგყვება რა, გარდა კეთილის საქმის, სახელისა და ტკბილ მოგონებისა.

მაშ, რად გგონია, ძლიერო და ბედნიერო, რომ გაიმარჯვე და უძლურუბედურებს სჯობიხარ? გახსოვდეს სიკვდილი!.. იქ და იმით ყველა სწორია. გახსოვდეს და ნაადრევად ნუ ნურასოდეს გაიმარჯვებ.

რად სწუხარ, უძლურო და ჩაგრულო? რად ჰმინავ და ჩაგილუნია მწარე ფიქრებით სავსე თავი? გაიღიმე, ბედკრულო! იცოდე, რომ შენც ის დღე მოგელის, რაც დიდებულთ და ძლიერთ.

გახსოვდეს სიკვდილი!..

**ახელი.**

## დიახ, აღდგა ნაზარეველი!...

**1878** წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ნაზარეველმა დაამარცხა წყვდიადი და ქვეყანას ამცნო საიდუმლო სიტკბოება ნათელისა.

**1878** წელია მას შემდეგ, რაც ადამიანის ჭირისუფალის მგრძნობიერი გული—ერთხელ კიდევ ამოძრავდა, ცოდვილთა ცოდვით ერთხელ კიდევ ჩაიფერფლა, მათდამი მიმართულ სიყვარულის ცრემლებად დადნა და კვალად ამცნო ქვეყანას:

„თავისუფლება, კაცთა შორის სათნოება და სიყვარული“.

ეს სიტყვები ჭეშმარიტ მცნებად გადაიქცა, მზის ნათელსავით მოედვა მთლეს სამყაროს და ყოველ ადამიანის გულში ნათელ-მოსილ სვეტად აღიმართა!

მაგრამ... განვლო საუკუნოებმა...

მათმა სიმართლემ წარმოშობა წყვდიადი...

ამ წყვდიადში ნელა ინთქმის იმის სახელი, ვინც პირველად აღიმაღლა ხმა ბოროტების წინააღმდეგ. ინთქმის ის ბაგენი, რომელთაც პირველად აღიარეს:

„თავისუფლება, კაცთა შორის სათნოება და სიყვარული“.

და ეს მცნება კი, ნათელის შარავანდედით მოსილი, უფრო მეტად ბრწყინავს გოლგოთის მწვერვალაზე..

— ადამიანმა იგი შეიყვარა!..

ადამიანი მას ესწრაფის..

ნაზარეველი კი იქ აღარ არის...

წამების ჯვარს თვით კაცობრიობის ჩაგრული შვილი მიათრევს...

მას უყვარს ეს ჯვარი, მას სწამს ეს ჯვარი...

იგი ნაზარეველის გულიდან არის ამოხეთქილი!...

ისიც გოლგოთაზე უნდა აღიმართოს...

კვლავ ეკლის გვირგვინით უნდა შეიმოსოს მისი ცხოვრება...

კვლავ ტანჯვით უნდა ზიდოს წამების ჯვარი,

რომ...

აღმართოს იგი გოლგოთაზე ქვეყნის ხსნისათვის...

და...

ეს მე **1878** წელია, რაც ადამიანი მიათრევს ამ ჯვარს...

გოლგოთისაკენ..

ამ ჯვარზე იგი უნდა ეწამოს....

ამ ჯვარის დახმარებით იგ უნდა აღდგეს!..

დიახ, აღდგა ნაზარეველი!...

**შალვა ტატიშვილი.**

## გალილეურ ქანგზე

**ერთგული**

გათენება მოახლოვებულ იყო. აღმოსავლეთის მხრით ცის კიდეს ოდნავ მოწითალო ფერი გადასცემდა. ქ. იერუსალიმის განაპირა უბნის ერთ-ერთ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში ჯერ ჭაჭანება არ იყო. პასექის დღესასწაულისა გამო ღამე ნაქეიფარ ხალხს, ეტყობოდა, ტკბილად ეძინა. ცა მოღრუბლული საწვიმრად ემზადებოდა. ქალაქს რაღაც რუხი, უსიამოვნო ფერი გადასცემდა და გარედ უბნის დაბალი მიწნექილ-მოხნექილი, მიწური ქოხები ამ ულამაზო დილას ერთი-ორად უფრო საცოდავად და გულ-საკლავად გამოიყურებოდა.

ქუჩის ბოლოს რაღაც ხმაურობა მოისმა. ხუთიოდ თხა წინ გაერეკა ვიღაც მწყემსს და ქალაქ გარედ საძოვრისაკენ მიეჩქარებოდა. მწყემსი ფეხ-შიშველი იყო, რაღაც ჭინჭის ნაგლეჯით თავი შეეხვია და ერთმანეთს მიკონკილი ქეჩის ნაგლეჯები ტიტველ მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა. ეტყობოდა, იმასაც რგებოდა თავისს ბატონისაგან, დღესასწაულისა გამო, ერთი-ორი ჯამი წითელი ღვინო; ამაყად თავი აეღო, კომბალი მხარზე გაედო და ნელ-ნელა მიღიღინებდა.

ერთ-ერთ მოსახვევში თხები ცოტად დაფრთხნენ, მათ წინ ვიღაც შეეჩხა.

— მანდ ვინ არის?—დაიძახა მწყემსმა, კომბალი მოიმარჯვა და ცალი ხელი შუბლზე ჩამოიფარა, რომ ბურუსში უფრო კარგად გაერჩია და დაკვირვებით წინ გაიხედა.

მისგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე ვიღაც ახოვანი, მკერდ-ჩამრგვალებული, ჩადრ-წამოსხმული ქალი იდგა.

— უფალი შენთანა, ძეო ისრაელისაო, —დაღონებულად მიესალმა ქალი და მიწურის კედელს მიეკრა, რომ თხებისთვის გზა მიეცა.

— მე კი ვერ გიცანი, ასულო სიონისაო, მიუგო მწყემსმა, კომბალს დაეყრდნო და ქალის წინ გაჩერდა. ტანში რაღაცა მხიარულმა ჟრუანტელმა გაურბინა.

— არც საკვირველია, რომ არა მცნობდე; მე თქვენი უბნელი არა ვარ, არც იერუსალიმელი ვარ,

— ლაპარაკშივე შეგატყე, გალილეველი უნდა იყო, ნელი ღიმილით გააწყვეტინა მწყემსმა,—ასე დილა ადრიან საით, სადაო?,—ცოტა არ იყოს შელიზინებულ კილოთი უთხრა მწყემსმა.

ქალმა მწარედ ამოიოხრა. ეტყობოდა, მის გულში რაღაც ცეცხლი ტრიალებდა და სახუმაროდ არ ეცალა.

— აგრემც შეგეწევა იეღოვა, ღმერთი ისრაელისა, კეთილო ადამიანო, მითხარ, ხომ აქვე ახლოა ელკანა ქვრივისა ქოხი. შეეხვეწა ქალი.

— ბებია დედა-კაცისა? ზემო ტუჩსა და ცხვირს შუა დიდი ხალი რომ აქვს, იმისა? ამ ქუჩას დაყევი, რუ რომ გაიარო, მარცხნივ აუხვიე. პირველი ქოხი ელკანა ქვრივისაა,—მიუგო მწყემსმა, ერთიც ააჩვალიერჩაათვალიერა შეთქვირებული ქალი და თავისს თხებს დაედევნა.

ქალმა რუ გაიარა, მარცხნივ მოუხვია და ერთი დაბალი მიწურის კარები დააკაკუნა.

ქოხის შიგნით სამარისებური სიჩუმე იყო. ქალმა ხელ-მეორედ დააკაკუნა და სმენად გადაიქცა. გულმა ცემას მოუხშირა. ქოხის შიგნით ვიღაცა მძიმედ წამოდგა და კარებისკენ გამოეშურა.

— მანდ ვინ არის?—მოისმა სახლის შიგნიდან მოხუცი დედა-კაცის ხმა.

— მშვიდობა შენ ჟანა! ელკანა ქვრივი აქა სცხოვრობს?—მიუგო ახალ-მოსულმა.

ქალის ხმაზე მოხუცმა კარები გააღო და უცნობი შიგ შეიპატიჟა.

— რა გაგკვირვებია, მშვენიერო ასულო? თანაგრძნობით ეკითხებოდა მოხუცი ელკანა და თან კერაზე ნაღვერდალს ჩხრეკდა, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა. ელკანას ახალ მოსული ორსული ეგონა.

— მხსნელიმცა იყოს შენი უფალი ყოველი გაკვირვებისაგან,—თავმდაბლად მიუგო ქალმა.—მითხარ ღვთის-გულისთვის, შიმონ გალილეველი აქ ხომ არა არის?

— ღმერთო ჩემო! სიზმარში ხომ არა ვარ, ვისი ხმა მესმის, მარიამ შენა ხარ?—მოისმა სახლის ერთ-ერთ ბნელი კუთხიდან მამა-კაცის ხმა.

— მე ვარ, შიმონ, ძლივს წარმოსთქვა ახალ-მოსულმა და მწარედ აქვითინდა.

მოხუცმა ელკანამ კერას საჩქაროდ ფიჩხი დააყარა და ცეცხლი გააჩაღა, რომ სახლში სინათლე ყოფილიყო. მტირალ ქალს მიუალერსა და ტახტზე მიიპატიჟა. შიმონ წამოიჭრა, ხალენი მხარზე გადაიგდო და გარეტიანებულივით შუა დარბაზში იდგა. ღრმად შეწუხებულს თვალები აცრემლებული ჰქონდა. პირველად ისევ მარიამი გამოერკვა. ჩადრის კალთით თვალები მოიწმინდა, ტანში გასწორდა და საყვედურის კილოთი შიმონს მიმართა:

— შიმონ! ხომ იცი ყოვლისფერი, რაც მოხდა?

— მითხრეს, შევიტყვე, მოგიკვდეს შენი შიმონ, ვაიმე რაბბი.... დაიღრიალა შიმონმა. მარიამმა ცოტა დაიცადა და მტკიცე კილოთი განაგრძო:

— მე კი ჩემი თვალით ვნახე ყოვლისფერი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ზომამდე სულ-მდაბალი და დაცემული იყო ჩვენი ერი. ვერ ვიფიქრებდი, ამ ზომამდე მხდალი და ლაჩარი იყო ის ერი, რომელმაც ეგვიპტელთა და ბაბილონელთა მონობას თავი დააღწია. განა, სხვას ვისმე რომ ეთქვა, დავიჯერებდი, რომ იმ ზომამდე გარყვნილნი და უსამართლონი იყვნენ ის მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი, რომელთ ხელთ უპყრიაყთ სჯული მოშესი, ნაანდერძევი თვით პირისაგან ღვთისა იაკობისა? მორჩა და გათავდა, აღარ სუფევს ერი ისრაელისა. მთავარნი ერისანი, საეკლესიო მამულიშვილნი, მოძღვრის, რაბბი იიშუს მტრობით დაბრმავებულნი, საჯაროდ ყვიროდნენ პილატეს წინ: გაუმარჯოს კეისარს, „არა გვივის ჩვენი მთავარი, გარნა კეისარიო.“ ამას ყვიროდნენ ისინი, ვისაც თავის თავი აბრაამის ძედ მიაჩნია და ცათა სასუფეველს ეტრფის. იეღოვა ცის და ქვეყნის გამჩენი ღმერთი, განა მარმარილოს ქანდაკების თაყვანისმცემელ კეისარზე დახურდავდა? შურმან და მტრობამ ერთი კაცისადმი, ამ ზომამდე როგორ უნდა დაამციროს განსწავლულნი ერის უფალნი? ანჰ!მითხარ, სადაა ის ხალხი, რომელიც ოსანას გალობდა და ბაისა და დანაკის კუდს უფენდა კიცვსა ზედა მჯდომარე რაბი იიშუს? სად იყო ის ხალხი, რატომ არ გამოესარჩლა მოძღვარს, როცა იგი ცემულ-გვემული ჯვარზე ჩამოსაკიდებლად მიჰყავდათ უსჯულოთ?....

— მოგიკვდეს შენი შიმონ,—ტირილით ამბობდა შიმონი და მკერდზე ხელს იცემდა. — მითხარ დაო, მარიამ, პირდაპირ მითხარ: შიმონ შენ სად იყავი თქო... აი აქ ვეგდე დაო... მას აქეთაა, მზის სინათლე არ მინახავს.... სულ აქ ვეგდე. მითხარ, ნუ მერიდები, შენ რად უარ ჰყავ, რატომ იმასთან ჯვარზე არ ჩამოეკიდე თქო...

შიმონმა თავი ვერ შეიმაგრა და იქვე ჩაიკეცა.

—მე რაღა უნდა გითხრა, აკი შენ თვითონ იძახი. აღტაცება წუთიერი იცი, შიმონ, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გაკლია.... კმარა, მე შენი საძხილებლად არ მოვსულვარ, რბილად გააგრძელა მარიამმა.—გამომყე შიმონ. უკანასკნელი პატივი მაინც ვსცეთ მოძღვარს, ნელსაცხებლით შევმუროთ მისი გვამი. მე ვიცი ადგილი, სადაა დასდვეს იგი. იოსებ არიმათიელის წალკოტშია და მარტოდ იქ ჩემი მისვლა უხერხულია. წამო, გავეჩქაროთ, სანამ ხალხსა სძინავს. ბითსაგიიდან წამოვსულვარ, იცოდე, მარტოდ-მარტო, შენი აქ ყოფნა ლუკა მჭედლისას შევიტყვე, წამო დაგვიანდება.

შიმონ საჩქაროდ ფეხზე წამოიჭრა.

— წავიდეთ მარიამ, თუნდაც მომკლან თავს არ დავზოგავ,—ათრთოლებით ამობდა შიმონ,—მაგრამ ნელსაცხებელი სად უნდა ვიშოვნოთ.

— მე უკვე მზათა მაქვს,—მიუგო მარიამმა და ჩადრ ქვეშიდან რაღაც მრგვალი ნივთი უჩვენა.

2.

ორთავენი ქუჩაში გამოვიდნენ. თითქმის გათენებულიყო. ოდნავ საგრძნობელი ცვარი მოდიოდა. შიმონ და მარიამ ფეხ-აკრებით მიდიოდნენ.

— სჯობიან კაიაფას სასახლისკენ მოვჭრათ გზა, ვიწრო ქუჩით შეუხვიოთ და რამდენიმე წუთის შემდეგ იოსების მტილის კარებთან ვიქნებით,—სთქვა მარიამმა. შიმონს სახეზე აღშფოთება დაეტყო.

— კაიაფას სასახლისაკენ რა გვინდა, ნეტავ ახლა ცეცხლი წაუკიდა,—უკმაყოფილოდ მიუგო შიმონმა,—სულ ერთი არ არის, გზას აქედანაც მოვჭრით, ბაზრის ქუჩით რომ ჩავუხვიოთ.

—ბაზრის ქუჩა იერიქოს გზაზე გაგვიყვანს, და მოუჭრით კი არა გზას გავიორკეცებთ; შიმონი დაყაბულდა.

ვიწრო ქუჩა გაიარეს. აი აგერ კაიაფას სასახლე თლილი ქვით ნაშენი. გარს გალავანი არტყია, სასახლის ირგვლივ მშვენიერი წალკოტია გაშენებული. იქაური ხილის და განსაკუთრებით ლეღვის ქებას, დამასკოშიაც გაიგონებ. სასახლის შიგნით და გარედ სიჩუმე, არავინა სჩანს. წუხელ დღესასწაულისა გამო დიდი წვეულება ჰქონდა წმიდა მღვდელ-მთავარს. ამბობდნენ, მთელი სინედრიონი მიიპატიჟაო. მაგრამ დღესასწაული იმდენად არ ახარებდა, რამდენად რაბბი იიშუს დამარცხება. აღსრულდათ ფარისეველ-მწიგნობრებს გულის წადილი. რაბბი იიშუ ჯვარს აცვეს. სწორედ რომ დიდი სიხარული მართებთ. ამიერიდან მათ უკანონო მოქმედებას არავინ არ ამხილებს. თავისუფლად შეეძლებათ ცხვარივით კრიჭონ შეუგნებელი და გულუბრყვილო ხალხი. იქნება ჯერ კიდევ არ გაუთავებიათ ნადიმი და ძვირფასი ხალებით მორთულ, ცხრაკლიტურ დარბაზში წითელი ღვინით სავსე ყანწს ყანწზე სცლიან და რაბბი იიშუზე გამარჯვებას ერთმანეთს ულოცავენ.

სასახლის კარი გაიარეს და ზემო ქუჩას აყვნენ. შორიდან უკვე მოსჩანდა არიმათიელის ბაღის დიდრონი ხეები.

უცბად რაღაც ხმაურობა მოესმათ. ქუჩის ერთ-ერთ მოსახვევიდან რომაელთა ცხენოსანი რაზმი გამოვიდა. ოციოდე მხედარი იქნებოდა. წინ ასის თავი მოუძღოდა. ყველანი გრძელ-ტარიანი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი.

მათ დანახვაზე შიმონი შეკრთა და უკან მოიხედა. უკან კაიაფას სასახლე იყო, წინ რომაელთა რაზმი.

— ამ ბილიკში რომ შეუხვიოთ, ერთი ორად უფრო ადრე მივიდეთ, —ხელი გაიშვირა შიმონმა ერთი სახლის გვერდით შიმავალ საცალფეხო გზისკენ.

— იქით რა გვინდა, გზა პირდაპირ გვიძევს,—მიუგო მარიამმა და შიმონს შეაჩერდა. უკანასკნელი გაფითრებული იყო.

— შიმონ რა მოგივიდა? რომაელების ხომ არ გერიდება, მე მგონია, არას დაგვიშავებენ. შენ ხომ არ გიცნობენ?

— სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივა. რომ გამაჩერონ, ვინაობა მკითხონ, ასე დილა ადრიან სად მიხვალო, რომ მკითხონ?.. ამბობდა შიმონ და თან თავ-შესაფარ ბილიკისკენ მიიწევდა.

— ნუ, შიმონ,—ამაგრებდა ქალი.—მე ერთი უმწეო, მაგდალელმა დედა-კაცმა შუა-ღამე ქალაქში შემოსვლა გავბედე და შენ კი დღისით შუა ქალაქში შიშობ?

— არა, არ ვშიშობ, ამ მხრივ გავიაროთ სჯობია.

— შიმონ, ხომ იცი სად მივდივართ...

— მივალ, მივალ, უსათუოდ მივალ, ნახავ თუ არ მივიდე,—ამბობდა შიმონ და ბილიკზე თითქმის გარბოდა.

ამასობაში რაზმიც მოახლოვდა. ლამაზი ქალის დანახვაზე ასის თავმა უნაგირზე გაიწ-გამოიწია და შუბის ტარი ხელში კოხტად შეატრიალა.

— კარგი ქალი არ არის?—უთხრა ერთმა მხედარმა მეორეს.

— მართალი უნდა თქვას კაცმა, ამ ისრაელებში ბევრი ურევია ლამაზი.

— ფუ, ფუ, რა კარგია!—ფიქრობდა მესამე,—კეისრის სასახლესაც დაამშვენებდა.

— კეისრის სასახლეს ქარ-ცეცხლი, ნეტავ ორი-სამი ამგვარით ჩემი სახლი დამიმშვენა,—წასჩურჩულა ამხანაგმა.

მარიამი კედლის პირას გაჩერდა, თავი ძირს დახარა და რაზმის გავლას მოთმინებით ელოდა. რაზმმა რომ გაიარა, გაბრაზებული თვალები მიმოავლო ოღრო-ჩოღრო ქუჩას, აჩქარებით გზა გააგრძელა.

„მამა-კაცები? ლაჩრები, გარყვნილები, უპირონი, გაუტანელნი“, ბუტბუტებდა ქალი და ფეხ-აკრეფით მიდიოდა.

„რომაელები ხომ დაუნდობელნი არიან, მაგრამ არც ჩვენები ჩამოუვარდებიან. უსირცხვილო იუდამ ხომ რომაულს კი არა, ეთიოპელსაც გადააჭარბა. ჩემი ჯავრი მოძღვარზე იყარა. მე რომ ვერ დამიმორჩილა, მოძღვარი გაყიდა. მე მაშინვე ვიცანი, რაც შვილი ბრძანდებოდა და პირველ დღიდანვე თავი შორს დავიჭირე, ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. სხვებიც შემომიჩინა, მაგრამ ვერც იმით მოაგვარა რა. უგუნურები, მათ დედა-კაცი ძროხა ჰგონიათ. მათ ვერ შეუგნიათ თუ რა არის ქალის გული, წმიდა სიყვარულით აღგზნებული. მათ ატყუებდათ ჩემი წარსული, მართალია, ცნობილი და გზა-კვალ აბნეული, მაგრამ რაბი იიშუს მოძღვრებამ გაანათლა ჩემი გული, მე უარ-ვყავ ძველი გზა, ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყე იგი და დავადგე ახალ ცხოვრებას. ახალი სიყვარული, სპეტაკი, ვით შემოდგომის თოვლი, დაიბუდა ჩემ გულში, გაღვივდა იგი და ვერ წაშლის მას ვერავითარი ძალა უკუნითი უკუნისამდე“.

ქალი ასიმათიელის წალკოტის კარებს მიუახლოვდა.

— მოძღვარ, ძვირფასო მოძღვარ —მწუხარებით წარმოსთქვა მან და თვალებიდან ცრემლი დაპა-დუპით წამოუვიდა.—ნუ თუ მარტო მე მოვდივარ, შემურვად გვამისა შენისა? მარტო მე, მე ცოდვილი და თითით საჩვენებელი. სადღა არიან ტომნი და ნათესავნი შენნი, სადღა არიან მოწაფენი შენნი; სადა არს იაკობ, სადა არს იოანე?.. შიშმან ურიათამან შეიპყრო იგინი? მოძღვარ, ვიცი, სიმართლისათვის არ გამიჯავრდები. ვისაც შენ კლდე უწოდე, მეტად რბილი გამოდგა. უმწეო დედა-კაცი მარტოდ-მარტო ქუჩაში დამტოვა და შორიდან მომავალი რომაელთა შიშით, განზე გაიქცა. რომაელთ რას სჯით ურიათ შორის უთანხმოება, მათ პირიქით უხარიათ ძლიერ, რომ არ არის ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული, რადგან მაშინ უფრო ადვილად შთანთქავენ გალილეასაც და იერუსალიმსაც... კეფა გაიქცა, მე მარტო დამტოვა.

მოძღვარო, ნუ თუ მეტად არ ვისმინო იგავნი შენნი, არა დავბანო ფერხნი შენნი და არა წარვხოცო თმითა ჩემითა? მოძღვარო, ხომ კარგად იცი, რა თვალით მიყურებდნენ, რა ბოროტი ღიმი გადურბენდათ ხოლმე ბაგეზე, როცა მხედავდნენ ფერხთა შენთა ქვეშ მჯდომარეს და გულ მოდგინედ მსმენელს, როცა შენ მოძღვრებდი. მე მაშინ არ ვშიშობდი, არავისი არ მერიდებოდა, რადგან გრძნობა ჩემი იყო სპეტაკი, სიყვარული წმიდა. მე ახლაც თამამად მივდივარ, ვეამბორო გვამსა შენსა. მხოლოდ, ვინ გადამიგორის ლოდი იგი, რომლითაც დაფარეს საფლავი შენი.

ქალი საფლავს უახლოვდებოდა. თან და თან უფრო მწარედ ტიროდა. ცრემლისაგან თვალ-არეული თითქმის უგზო-უკვლოდ მიდიოდა, ხან ბუჩქნარს მოედებოდა, ხან ხეს დაეტაკებოდა.

„მოძღვარო, ჩემო სასოებავ, გამაგონე შენი ხმა, მოსთქვამდა ქალი,—არცხვინე მხდალთა, ბოროტენა დაუხშე, ამხილე ცრუთა და ამპარტავანთა, ანუგეშე მხევალი შენი ეზომ შენზედ მსასოებელი და შენი მოყვარული“.

აგერ, აი იმ მაღალ ნუშის პირდაპირ გამოქვაბული, სადაც გუშინ სადამოთი დაასაფლავეს გვამი რაბბი იიშუსი. მარიამი ძლიერ კარგად ჰხედავდა, რომ გამოქვაბულის კარებში დიდი ლოდი მიადევს. ახლა კი გამოქვაბული პირღია იყო. ვეებერთელა ლოდი განზე ეგდო. ქალი შეჩერდა. ტანთ გააჟრჟოლა, ფეხის გადადგმას ვერ ახერხებდა. ეს ვინ არის მისკენ მიმავალი. „მეპატიჟე იქნება, გაუელვა თავში. მისკენ, მართალია, ვიღაც მოდიოდა.—„კეთილო ადა...მი...ნო,—კბილის-კბილზე ცემით, ძლივს ამბობდა ქალი,—მით...ხარ..სად... და...ს...დვეს?.. ქალი შეკრთა, ფერი ეცვალა, მთელი ტანი აუკანკალდა, მის წინ მდგომ სახეს გაშტერებით ჩააცქერდა „მოძღვარო“, დაიკივლა მან, ხელები გაშალა და გულ-შემოყრილი მდელოზე დაეცა.

**უიმრალო.**

## იერუსალიმის ბედი

**ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ**

(ერნესტ რენანიდან)

დიდებული რამ იყო უშველებელი ტაძარი ებრაელთა იერუსალიმში. მრავალნი მისი სამხრეულნი ემყარებოდნენ უფრო მრავალ და ძვირფას სვეტებზე. ეს სამხრეულნი იტევდნენ მრავალ ხალხს. ტაძარს გარს ერტყა სამპირი ციხე-გალავანი. ეს უშველებელი შენობა მარტო მლოცველთ არ იზიდავდა, როგორც იზიდავს დღეს მუსულ-

მანთ მექქა. ერა! რომის დიდების ჟამს, ის გარდაიქცა სიმაგრედ და სამჯავროდ მამულიშვილთა. ეს უკანასკნელნი იყვნენ გამსჭვალულ, რათა იერუსალიმი გარდაექმნათ მეუფების ქალაქად და მის გარშემო შეეკრიბნათ გაფანტული ტანჯული ერი ისრაილისა. აქ იკრიბებოდნენ მებრძოლნი დიდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობისა...

ამ დიდებულ შენობის ქვეშ შეკრებილ ხალხს ელვასავით უვლიდა გულში ამბები გმირულ შეტაკებათა იუდა გალილეველის. არა ერთხელ დამარცხებული და უკუგდებული იგი, ისევ ჩნდებოდა თავის რაზმებით გალილეის მთებში, ან ულრან იორდანის ნაპირებში და შავ დღეს აყენებდა რომის ლეგიონებს...

ეს ებრაელთა გარიბალდელნი შვილთა და შვილიშვილთ უტოვებდნენ ანდერძს რომაელთა შეურიგებლობის... მოსისხლობის...

არც ერთი შვილი, ან შვილიშვილი გმირ იუდა გალილეველის არ მოკვდა თავის სიკვდილით. ზოგნი მათგანი ჯვარს აცვეს, ბევრი გმირულად მოკვდა ბრძოლის ველზედ, ბევრმა თავი მოიკლა, რომ ცოცხალი არ ჩავარდნოდა რომაელთ...

ამ გმირთა სულის-კვეთება იყო: დაემყარებინათ თავიანთ ქვეყანაში სასუფეველი, ღვთიური მეუფება, ანუ ებრაელთა თავისუფალი რესპუბლიკა. როდესაც სადმე ჩნდებოდა ახალი რაზმი მებრძოლთა, იერუსალიმში თავმოყრილთა შორის გულშეშფოთებით კითხულობდნენ: „მესია ხომ არ უძღვის წინაო“?— ეს იყო ყველას მიერ სასურველი მხსნელი ერის.

ხშირად ბოლმით სავსენი უამბობდნენ ერთმანეთს: „გუშინ გააკრეს რომაელთ ჩვენი წმიდა კაცი და მასხარაობით ჯვარს წააწერეს „მეუფე ურიათაო“. რომაელებმა შეიგნეს მნიშვნელობა ამ რელიგიურ და ეროვნულ მოძრაობის ბუდის; იმიტომ ჩრდილოეთის მხრით იერუსალიმის ტაძარს ზემოდან დამცქერი დიდებული სასახლე უდიდის იროდის აქციეს ყაზარმად... იქიდან ეროვნულ კრებაში და მლოცველებში ხელად ჩამოირბენდნენ ხოლმე დარაზმული რომაელთა ჯარისკაცნი. ეს დიდად უკლავდა გულს ებრაელთ... იმიტომ შემდეგი რაზმთა მძღოლნი გმირნი და მამულის შვილნი მთებსა და უდაბნოებში იწვევდნენ მებრძოლთ და აქედან მიჰქონდათ იერიში იერუსალიმში გამაგრებულ ლეგიონებზედ. სასტიკი ომები ხდებოდა იერუსალიმის ტაძრის მიდამოებზედ იმპერატორ პომპეიდან დაწყებული ვიდრე იმპერატორ ადრიანამდე, რომლის დროსაც აღგავა ქვეყნის პირიდან ეს არწივთა ბუდე, სავანე მამულიშვილთა, დაანგრია იერუსალიმი რომაელთა მხედარ-მთავარმან ტიტმან შემდეგ 70 წლის ქრისტეს ჯვარცმისა. დღესაც რომში ტიტეს ტრიუმფალური კარები ერთი უმშვენიერესი ძეგლია რომაელთა ფორუმის. მასზე გამოქანდაკებულია სარდლის მიერ დამწვარ ტაძრიდან წაღებული შვიდ-შანდლოვანი ხელი... თვით ეს ოქროს ხელი კი იქმნა შეტანილ რომაელთ მიერ ახლად აშენებულ ზავის ტაძარში.

სიონის ნანგრევებთან ამის შემდეგ კიდევ აპრიალდა შეუპოვარ მამულიშვილთა ბრძოლა თავისუფლების მოპოებისთვის. აბობოქრდა კიდევ ძველი ქალაქი ღვთისა. თუმცა უიმედო იყო ეს მწარე შებრძოლება... მაგრამ პალესტინის მამულის შვილთ საოცარის სიმამაცით გასწირეს თავი მოსისხლე მტერთან. ამ ბრძოლის მეთაურის ნამდვილი სახელიც კი არ დარჩა მატიანეში. მას მთელმა ერმა მისცა სახელი „ბარ-კახება“ ე. ი. შვილი ვარსკვლავთა... ამ ბრძოლის ბედთან ჩაკვდა ებრაელთა ლტოლვილებანი. თუმცა მცირეს ხან იგი თავის რაზმებით გამაგრდა იერუსალიმის ნანგრევებში და თავისი ფულიც კი მოსჭრა ახალი თავისუფალი რესპუბლიკისათვის. ზედ ასეთი წარწერა გაუკეთა: „თავისუფლება იდესიო“. ამაზედ ზოგნი ამობენ, იგი იყო შთამომავალი იუდა გალილეველისაო. რომმა ამის შემდეგ ქვა ქვაზე აღარ დააჩინა იერუსალიმში, სასტიკად აკრძალა სახელწოდება მესიასი. იგი ბერძნულად გადაქანდაკდა „ქრისტედ“... ვერ გაიმარჯვა მახვილმა, მაგრამ ქრისტეს იდეებმა გადმოსულმა იერუსალიმით მალე დაიმონავა რომიც და მთლად დუნიაც. ეს აზროვნებით აღგზნებული ომი გადავიდა შიგ რომში და პირველ დაამხო ქვეყნიურ ღმერთების, რომის იმპერატორების სისასტიკე-დიდება... მალე ცეზარების დღესასწაულებში ბევრი სახლები აღარ იკობოდნენ ყვავილებით. არამცთუ უცხონი, თვით რომის მოქალაქენი უარს ამბობდნენ ჯარში გასვლაზედ. ადამიანმა ადამიანის სისხლი არ უნდა დაჰღვაროსო— ვრცელდებოდა მოქალაქეთა გულში. ეს ბრძანებაა ყველაზედ უდიდეს იმპერატორის—ქვეყნის შემოქმედისაო. იგი ყველასადმი სიყვარულს გვიბრძანებს... იგია მესია— ქრისტე, ცეზარი, სოტერი, სალვატორი!.. იგი უწოდებს ყველა დამაშვრალს, დაწუნებულს, ღარიბს უმწეოს ერთ წრეში .. იგი უმზადებს ყველას ერთნაირ სერს, სერს ძმობისას, ერთობისას, სიყვარულისას, მისი ბატონობა სიმართლის დამყარებაა ყველასათვის. მის მორწმუნეთა კრებაში ბატონი უკანასკნელად შეიქმნება... ყმა და დავრდომილი გახდება პირველიო... ამან დასცა რომი და მოინადირა ქვეყანა...

**ზ. გულისაშვილი.**

# ბზის რტო

ა

ნამცვრევი ცისა ვარდს ეფრქვეოდა,
ტუჩს ადნებოდა ბზის რტოს ცის ცვარი
მთის წყარო ნაზად ვაზს ეხვეოდა,
ვით სატრფოს თვალებს წამწამთა ჯარი.
რიჟრაჟი იყო. ფრთას შლიდა დილა,
რთვილს იბერტყავდა ბაღში ბილბილა,
და კაცთა სევდის გამომსახველად
ნაზი ნიავი დაჰქროდა ველად.
მოსწყვიტე ბზის რტო და ვით არწივი
ჩემთან მოიჭერ, ჩემსკენ ისწრაფე,
ოქროს ქოჩორით გზას დაეწაფე
და აცალე ნამი და სხივი.
დასწან გვირგვინი, მაგრამ ეგ სახე
ვეღარ ვიხილე, არ-რა მეშველა,
მხოლოდ ღიმილით ცით ჩამომძახე:—
„ბავშვს მგოსანს უძღვნის, თავისი ლელა“!
ახ, სულის სარკევ! გთხოვ მომიტევე,
რომ ჩემს კავშირით ვკავშირობ მევე.

ბ

მახსოვს, გეძინა ზღვის სარეცელზე,
თვით ზღვის ყვავილიც სურნელს გტაცებდა,
გიშრის ნაწნავი გეფინა ყელზე,
ტუჩზე ღიმილი დაგთამაშებდა;
შენს ბროლ-გულ-მკერდსა აზვირთებულსა,
მკერდს სიოს ნანით მიძინებულსა
საბნისა ნაცვლად ქაფი ჰფარავდა,
და გედი ლაღ-ფრთით კოცნას გპარავდა.
შორს გაგეტყორცნა მკლავი შემთხვევით,
ზღვის ქავლზე ეგდო სულ მარტოდ-მარტო—
როგორც ლერწამი, როგორც ბზისა რტო,
გადაზნექილი ზეფირის რხევით.
მახსოვს შენს თმებით სიმებსა ვქსოვდი,
მახსოვს შენს სიზმრებს მეც ვუერთგულე,
მახსოვს... ოჰ! მახსოვს მოგიახლოვდი
და ეს სიტყვები ყურს წაგჩურჩულე:
იძინე, სულო! იძინე ყრმაო,
წუთი სოფელი არის ამაო.

გ

ცის თაღმა მკერდი გაიფირუზა,
მაგრამ ჩემს გულში დგას შემოდგომა;
მომიკვდა რწმენა, მომიკვდა მუზა,
შთანთქა უფსკრულმა ჩემი „აღდგომა“,
აღსდგა გრიგალი... ბიკლო მიწა,
ზეცას პირბადე გადააფხრიწა,
ღვთის ნაპერწკალი ჩამიქრო სულში
და გადამიხვა უფსკრულთ-უფსკრულში.
მთლად გაძარცული ვდგევარ აწ ვით ხე,
ბზისა გვირგვინი ჰკვნესს უფოთოლოდ
თუ მოვკვდე, ტურფავ, ამას გთხოვ მხოლოდ
ჩემი ლექსები გადაიკითხე;
თუ შორს უდაბნოს ჩემი სამარე
იხილო ობლად, განმარტოებით—
გთხოვ დამაფრქვიე ცრემლი მდუღარე,
გთხოვ მომიქარგე ბზისა რტოებით
და, ნუგეშის წილ, თავს შემოგევლე,
ხშირად დამწყევლე, ხშირად დამწყევლე!

**ი. გრიშაშვილი.**

# ქრისტე აღდგა!

შეჰკრთა დილის ნაზი სიო
და ცრემლიან ველს მიაკვდა;
ია ის გადაექდო
და ჩაჰკოცნა: „ქრისტე აღდგა!“
მზემაც სხივი ამოსტყორცნა,
მყინვარს ჯიღად თავს დაადგა,
ქვეყნად შვება მიმოჰფინა
და აუწყა: „ქრისტე აღდგა!“
ტოროლამაც ფრთა შემოჰკრა,
ცაში ლაღად ასრიალდა,
ჩაეხუტა ლაჟვარდ სივრცეს
და დასძახა: „ქრისტე აღდგა“!.
ქრისტე აღდგა; ქრისტე აღდგა!
მოკვდა სევდა, მწუხარება!
ზეცა გალობს მხიარულ ხმებს,
ქვეყანა ბანს ეუბნება.

**ი. მჭედლიშვილი.**

# აღდგომილ ქრისტეს მაძიებელნი

სასწავლებელში არა ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო. ორი დიდი დარბაზი და სასადილო ოთახები განათებული იყო, დანარჩენ ოთახებში ბნელოდა. მძიმე, ფრთხილი, მაგრამ სასტიკი მოძრაობა გამეფებულიყო მთელს შენობაში. დინჯად, მოკლედ და ფრთხილად ირეკებოდა შემოსასვლელ კარების ზარი; დინჯად, ფრთხილად და პატივისცემით შემოდიოდნენ მასწავლებლები, რომელთაც მეკარე ასევე დინჯად და პატივისცემით თავს მდაბლად უკრავდა და პალტოებსა ხდიდა. აუჩქარებლივ გაივლიდნენ ხოლმე მასწავლებლები ოდნავ განათებულ, ბინდ-ბუნდით მოცულ დერეფანს და სამასწავლებლო ოთახში შედიოდნენ. მრისხანებით და ბღვერით გაივლიდა ხოლმე სასწავლებლის უფროსი, ანტონინა ნიკიტიშნა, ამ ჩაბნელებულ დერეფნებში ერთ ოთახში შეგროვილ და უსაქმოდ მსხდარ პოყაყანე შეგირდებს შეათვალიერებდა და, რაკი შეაშფოთებდა, ისევ უკან ბრუნდებოდა და გზა-დაგზა მსახურებსა ბრძანებას აძლევდა. თუ დერეფანში რომელიმე შეგირდი შეხვდებოდა, ისე შეუბღვერდა, თითქოს ეუბნებოდა: აღდგომა ღამისთვის მიპატიებია, თორემ გაჩვენებდი უდროო-დროს დერეფნებში ხეტიალსაო, მოსწავლე ქალებიც ჰგრძნობდნენ, რომ ამისთანა უბრალო საქმისათვის ამ ბედნიერ დღეს არ დაისჯებოდნენ და სცდილობდნენ უფროსისათვის ყურადღება არ მიექციათ, თუმცა ეშინოდათ და თვალებ დაშვებულნი, ხელებს წინ-საფარში მალავდნენ, უფროს გვერდს უქცევდნენ და კედელ-კედელ გაუვლიდნენ ხოლმე.

პანსიონში ეხლა სულ ორმოცდაათი ქალი იყო. სხვები შინ წასულიყვნენ, უქმეებზე. ამ ორმოცდაათ ქალს ამ მოკლე ხნით მჭიდრო კავშირი გასჩენოდა. ერთად შეგროვილნი, ჩუმად კუკუკუტებდნენ, ყველა მხიარულებასა ჰგრძნობდა და უნდოდა ემხიარულა კიდეც, გადამხტარიყო, დაეყვირა, გაქცეულიყო, თუნდ ყირამალა დამდგარიყო. მაგრამ ანტონინა ნიკიტიშნასი ეშინოდათ. თუ ვინმე დაყვირებას ან დაბრახუნებას გაჰბედავდა, პირზე წინ-საფარს მიიფარებდა, წითლდებოდა და მომცინარ-შეშინებულ თვალებით კარებს შეჰხედავდა ხოლმე. მხიარულება საჭირო იყო, მაგრამ ვერა ჰბედავდნენ. ქალებს ეს ბოლმასა ჰგვრიდა. თავისუფალი დრო, მხოლოდ, ერთი კვირა-ღა დარჩენოდათ და ეხლაც კი თავისუფალი მხიარულება შეუძლებელი იყო; შემდეგ ისევ სწავლა დაიწყებოდა, ბაწარ-ალებით ერთმანეთს გაჰყვებოდა უფერული, ერთმანეთის მსგავსი და მოსაწყენი დღეები. ისევ ჩამორიგდებოდა ურთები, ორები, საძაგლები და ცრემლ-მომგვრელი. და ახალ-გაზრდა, ლამაზ და ცოცხალ ქალიშვილებთა შორის სიძულვილი და დანგრევა-დასხვრევის შეკავებული სურვილი იბადებოდა. ყოველი მათი მოძრაობა, თუ სიცილი შიშს გამოხატავდა. ჰგრძნობდნენ, რომ იქ, ე. ი. სასწავლებლის გარედ, ბევრს რასმეს ჩაიდენდნენ, ბევრს სიცოცხლეს გამოიჩენდნენ, ამიტომ ყველას გულით უნდოდა ყოფნა იქ, სადაც რაღაც ნაირი, თითქმის უცხო, მაგრამ თავისუფალი ცხოვრება არსებობდა. ამ სურვილს, სასწავლებლის სქელი კედლები, ჩაშავებული ბაღი და სიავ-მრისხანების სიმბოლო—ანტონინა ნიკიტიშნა ხელს უშლიდა. მაგრამ ამავე დროს ისე უნდოდათ ამ ცხოვრების ამბების ნახვა-მოსმენა, რომ ერთმანეთს ეხვეწებოდნენ იქაურობისა რამე ეამბნათ. ზოგი ქალი დაიწყებდა ხოლმე ამბავს, მაგრამ მალე ჩუმდებოდა: პატარა იყო როცა აქ პირველად მოვიდა, ამის შემდეგ თითქმის აღარც კი გასულა აქედან და არა ახსოვდა რა. ამიტომ ამბავი მოკლე, უფერული და უაზრო გამოდიოდა. ამრიგად ვერავინ ვერას ამბობდა, ჩუმდებოდა და იმ ცხოვრებაზე გაკვირვებით ჰფიქრობდა: იქ რა უნდა იყოსო? სწავლა არ არის, კლასებიც არ არის, სადილს სხვანაირად სჭამენ, ამდენი ერთად არა სცხოვრობს, რამდენიც აქ, სხვა რა უნდა იყოს? ამას გაიფიქრებდა ხოლმე ყოველი მათგანი, თუ კი იმ სხვა ცხოვრების წარმოდგენას მოინდომებდა.

რამდენიმე ქალი კლასის კუთხეში შეგროვილიყო და წყნარად მღეროდა. ეს ძალიან სასიამოვნო იყო. მაგრამ კარებში მრისხანების სიმბოლო გაჩნდა და მომღერალთ შეუბღვირა:

— ჯერ ისევ მარხვაა და თქვენ ჰღერით! აღდგომა ძალას გულისათვის შეცოდება აპატია. სიმღერის ხმა კი ყველას ისევ ყურში ედგა. მისი შეკავებული წკრიალი სიცოცხლის ძლიერი ხმა იყო.

სუყველაზე შორეულ და ბნელ დერეფანში ორი მოზრდილი ქალი, ხელი-ხელ გაყრილი ფრთხილად დადიოდა, ერთმანეთს ეკვროდა და თვალებში შეყვარებულისავით შესცქეროდა.

— გიყვარვარ?—შეეკითხა ერთი ჩუმად, ისე ჩუმად, რომ ჰაერიც კი არ შერყეულა.

— ძალიან! მე ობოლი ვარ. 13 წელი გავატარე აქ, სასწავლებლიდან ფეხიც კი არსად გამიდგამს. ხვალ ჩემთან არავინ მოვა! ერთი მოხუცი ნათესავი მყავს, შორეულს შორეული. არც ის მოვა. შენ ლამაზი ხარ, კეთილი და ღონიერი, უპასუხა მეორემ და ლოყაზე აკოცა. ამხანაგმა ხელი მოჰხვია, გულში მაგრად ჩაიკრა და ჩაჰკოცნა. ეს სიჭაბუკის, ახალი სიცოცხლის და ჯანში დაფანტულ გრძნობის, სიყვარულის ძლიერი კოცნა იყო.

ყველა თავის გრძნობა-ფიქრით გაერთო და უფროსებმა, რომელთაც პატარების თვალ-ყურის დევნება ჰქონდათ ჩაბარებული, ვერ შეამჩნიეს, რომ მათ რიცხვს სამი პატარა გოგო დააკლდა.

ეს სამი გოგო კი, რაკი გულხელ დაკრეფილი ჯდომა მობეზრდა, დერეფნის ბოლო ფანჯრიდან ბნელ ბაღში გადაძვრა. გაზაფხული იყო. გარედ თბილოდა და ხეები და ყვავილები გაფურჩქვნილიყო. ნუშის ტოტები შავ, უმთვარო სიბნელეში ჩადრ-წამოსხმულებსა ჰგავდა. დედამიწა დანამული იყო და ფეხს სიცივეს აგრძნობინებდა. ცაზე ვარსკვლავები ბრჭყვინავდა, ციმციმებდა. გოგოები შეშინდნენ. დიდ ბაღში სიცარიელე და სიშავე გაბატონებულიყო. კალავნის კედელი თითქოს უკუნეთში ინთქებაო, ისე იძროდა და კანკალებდა. გოგოცუნები იქვე კედელთან, ფანჯრის ძირში, შემკრთალნი შეჩერდნენ და ერთმანეთს მიეკვრნენ. ერთი პირობა უკან დაბრუნებაც კი გაიფიქრეს, მაგრამ ქრისტეს აღდგომის ნახვის სურვილი ძლიერი იყო და ფრთხილად წავიდნენ წინ. შავი ბაღი ნელა ნთქავდა მათ; პატარა, ნორჩი ტანის, მუქ ტანისამოსით შემოსილი ყალიბი ამ სიშავეში ნელა დნებოდა და იმალებოდა. თავისუფალი, მსუბუქ ჰაერით გახმაურებული სიჩუმე სასიამოვნო იყო; სველი დედამიწა ფეხთა-ქვეშ არა ხმაურობდა და მათს ქურდულ სიარულს არ ამჟღავნებდა. გული უფრთხილებდათ, სისხლი მოძრაობდა და თვალებს დიდად აჭყეტდნენ, რათა სიბნელეში ყველაფერი კარგად გაერჩიათ, არაფრისა არ შეშინებოდათ და ისეთს არავის წასწყდომოდნენ, ვისაც მათი გაცემა შეეძლო. ამ რიგად მიდიოდნენ, ნაბიჯს უმატებდნენ.

კარგი იყო ნაქურდალი, შიშ-შერეული თავისუფლება და ამიტომ სცდილობდნენ, შეძლებისამებრ, შორს წასულიყვნენ, შერეოდნენ ღამის სიშავესა და გაზაფხულის სუნთქვით მოცულ ბაღის საიდუმლო, თვინიერ გრძნობის სიცოცხლეში.

ყველაზე უფროსი, 14 წლის ვარო, წინ მიდიოდა, თვალებს აფაციცებდა და უხაროდა, რომ ორი ამხანაგი მისდევდა, თითონ ბელადი იყო, საქმის დამწყები და აზრის მიმცემი. ქრისტეს აღდგომის ნახვის აზრი პირველად ვაროს მოუვიდა და ამხანაგებს გაუზიარა. დარწმუნებული იყო, თუ ბაღში გავიდოდნენ და თვალ-ყურის დევნას დაიწყებდნენ, აღმდგარ ქრისტეს ჰნახავდნენ. ისეთი სასიამოვნო, მიმზიდველი და მაცდური იყო ეს აზრი, რომ ამხანაგებმა შიში დაივიწყეს და გულად ბელადს გაჰყვნენ. ბელადს კი ეშინოდა: ვაი თუ ჩემი მოსაზრება არ გამართლდეს, ამხანაგები მოვატყუო და თანაც როგორმე დავისაჯნეთო.

სამივე ბაღის შუა გულში შევიდა, ოდნავ ამწვანებულ თვისნის ძირში გაჩერდა და სული მოითქვეს. თეთრი წინ-საფარები და მხრებ-საფარები შავ სიბნელეში კრთოდა და გამცემლებსავით ანათებდა. შესაძლო იყო, ეს თეთრი და შეკრთალი ელვარება სასწავლებლის შორეულ ფანჯრებიდან შეემჩნიათ და დასდევნებოდნენ. ამიტომ მხრებ-საფარები მოიხსნეს, წინ-საფარებში გაახვიეს და აიკიდეს. დანარჩენი ტანისამოსი მუქი იყო და არ გასცემდა.

სიომ დაუბერა, მოკლე თმები და კაბები გაუწეწა, ფეხებს შემოუარბინა და სამივეს ტანში სიცივის ჟრუანტელი გაუტარა. ამ დროს იგრძნეს, რომ დიდი თავ-ხედობა ჩაიდინეს, დიდი სასჯელი მოელოდათ და ერთმანეთს შეხედეს—დაბრუნებულიყვნენ თუ არა?

— რაც არის, არის!—გაიფიქრა თვითეულმა მათგანმა და გული დაიმშვიდა: ქრისტე რომ ნახონ და ისე დაისაჯნენ, არაფერია, დასჯადაც ღირს! მაგრამ ეხლა რომ დაბრუნდნენ, შეიძლება ვისმეს წააწყდნენ და უბრალოდ დაისჯებიან!

ბაღის ბოლოში საყდრის მუქი კედლები უძრავად აყუდებულიყო. ქრისტეს ნახვა საყდართან შეიძლებოდა. სხვაგან სად წავიდოდა? და სამივე ქურდულად საყდრისკენ გაემართა. იქ, ბუჩქებსა და კედელ შუა, შეიძლებოდა დამალვა და იქიდან თვალიერება. როცა დანიშნულ ადგილს მივიდნენ, შეჩერდნენ და ცალი თვალით საყდრის ღია კარებში შეიხედეს. რამდენიმე სანთელი ბჟუტავდა, გარდამოხსნა საყდრის შუა გულს იდგა. მოხუცი დიაკვანი რაღაცას ბუტბუტებდა. გოგონეები კარებს მსწრაფლ მოშორდნენ და ბუჩქისაკენ გაემართნენ, მაგრამ ერთბაშად ისევ შეჩერდნენ. მაღალ სამრეკლოს კარი ღია იყო.

— ავიდეთ!—დაიძახა ვიღაცამ.— დიაკვანი ზარებს ქვევიდან რეკს, თოკებით!...

რკინის მძიმე და სიპი კიბე მათ ფეხთა-ქვეშ იზნიქებოდა და ქურდულად ჰრიალებდა, მაგრამ ამსვლელთა სიფრთხილემ გააჩუმა. რაღაც დიდი და მოცინარი სიხარული უფთხილებდათ გულში და რაც უფრო ზევით ადიოდნენ, ეს სიხარული უფრო ეზრდებოდათ და შიში უფრო ეფანტებოდათ, მაგრამ, რაც უფრო იფანტებოდა, მით უფიფანტებოდა, მით უფრო საგრძნობელი ხდებოდა.

ზარები თავზე დაეხ[illegible] დიდი ზარი მრისხანე იყო, პირღია და მძიმე. ამიტომ მას თვალი მოარიდეს და სამრეკლოდან შორს გაიხედეს.

ერთნაირი, მსწრაფი მოკლე, მოკლე, გაოცებული და გახარებული ძახილი აღმოხდა სამივეს ბავშურს გულს:

— ჰოი!—და დაჩუმდნენ.

დიდი, ჩაბნელებული ქალაქი გადაეშალათ თვალ-წინ. ქუჩაში ათასობით გაფანტული ფარნები და სხვა და სხვა ფერი შუქი უძრავი კრთომით ციმციმებდა. მთელი ეს მიდამო ვარსკვლავებით მოჭედილ, ძირს დაშვებულ ცასა ჰგავდა. სამივემ თვალები დიდად დააღო. შიგ სიხარული, განცვიფრება, ნეტარება და გულის ფანცქალი გამოსჭვიოდა. თავიანთ სიცოცხლეში ასეთი სურათი არ ენახათ. არ იცოდნენ, რომ ქალაქი ასე დიდი, ლამაზი და საამური იყო. მათ წინ ეტლებისა და ტრამვაის სინათლე სისწრაფით გარბოდ-გამორბოდა, სადღაც უკუნეთში ენთებოდა და უკუნეთშივე ჰკვდებოდა. ხმა ამოუღებლივ, უძრავად იდგნენ და სანახაობით ტკბებოდნენ.

— ცაა?!—შეეკითხა პატარა კატო ვაროს.

— ქალაქია!—უპასუხა ვარომ ისე, რომ არც განძრეულა და არც კატოსთვის შეუხედნია.

— ჰოი!—გაიმეორა კატომ და გარინდდა.

გაჰქრა ქრისტეც, აღდგომაც, შიშიც, სიბნელეც, გაჰქრა ქვეყანა და მხოლოდ სიხარულმა და გრძნობებმა დაიპყრეს სამივეს გული. არა მიწიური იყო ეს სიხარული, ძლიერი და გრძნობათა აღმძვრელი! იდგნენ და იცქირებოდნენ. წამი წამს მისდევდა, წუთი წუთს და ისინი კი ვერას აჩნევდნენ. შეიძლება აქედან წასვლა დავიწყებოდათ კიდეც, რომ გონს ისევ ვარო არ მოსულიყო და შეშინებულს არ წაეჩურჩულა:

— წავიდეთ! საცაა ზარებს დარეკავენ!

განცვიფრებულნი, მოხიბლულნი და გახარებულნი ნელა, ფრთხილად და გულის ლიტინით კიბეებზე დაეშვნენ. ამ დროს მოაგონდათ, რომ დიდი სიფრთხილე ჰმართებდათ და გულში შიში შეეპარათ. ეხლა ყველაფერი აირია: სიხარული, გაკვირვება, შეკავებული სიცილი და შიში. გაბრუებული კატო ხელს კიბის მოაჯირებს ადევნებდა, რომ სიბნელეში ფეხი არ ასცდენოდა და არ წაქცეულიყო. და ამ დროს მას ხელს რაღაც გრძელი და დაგრეხილი მოხვდა, გაიკლაკნა და გვერდზე გაქანდა. ზემოდან ერთი მოკლე, მრისხანე და შემკრთალი, გამცემი და მძიმე, მოკანკალე და დამცინავი რეკა გაისმა. ზარმა დაიგუგუნა, თავისი ნელი კანკალი სასწავლებლამდის გასტყორცნა და იქ, ხეებ-შუა მომცქირალი, ფანჯრების შუქი შეაკრთო. სამივე ამხანაგი შეშფოთდა და შეჩერდა. მუხლებმა სამივეს კანკალი დაუწყო. კატოს შეცდომას ყველა მიხვდა. დამნაშავეს თვალებში ცრემლები მოადგა და თოკს ისე მოარიდა ხელი, თითქოს გველი ყოფილიყო.

იქ კი, მასწავლებელთა შორის, ჩოჩქოლი შეიქნა. ყველა აივანზე გამოვიდა და საყდრისკენ გაიხედა! აშკარა იყო: სამრეკლოზე ვიღაცა აპარულიყო და თავ-ხედობდა.

— პავლე! კარი დაუკეტე!—გაისმა ანტონინა ნიკიტიშნას ბრაზიანი, მრისხანე ხმა.

დიაკვანი პავლე უკვე სამრეკლოსთან იდგა და კიბეებზე გაშეშებულ სამ შეშინებულ გოგოს ღიმილით უცქეროდა.

— არ მოგვამწყვდიო! -ჩურჩულით და ცრემლით შეევედრა ვარო.

— არა!—გაიღიმა მოხუცმა და უფროსს გასძახა!

— გასაღები თან არა მაქვს. ეხლავ მოვიტან!

აივნიდან ანტონინა ნიკიტიშნას გაწყრებული წყევლა მოისმა. იგი

გააფთრებული ბალში გამოვარდა და სამრეკლოსაკენ გაემართა. დიაკვანმა კი გოგოებს გზა უტია. მათ თავზე კაბები წამოიხურეს, არ გვიცნონო, და იქით გაიქცნენ, საიდანაც გზას ვერავინ უყელავდა, დამფრთხალნი ქაქანით ეცნენ სარდაფის ღია კარებს, მტვერი და აბლაბუდა აიკრეს და მერე იქიდან ზედა სართულში აძვრნენ. ეშინოდათ, ეცინებოდათ და თვალეზე ცრელი ადგებოდათ. ბაღიდან კი უფროსის წივილი ისმოდა: იწყევლებოდა და იმუქრებოდა.

დერეფნიდან ერთი მასწავლებლის ხმა შემოესმათ:

— ქაჯია ეგ წყეული! რა აწიწინებს?

— თავ-ხედობაა, ბატონო, და მოდი გული ნუ მოგივა!—უპასუხა ვილაცამ.

— უქმე დღე არ მინდა გავიმწარო, თორემ მოვნახავდი და შავ დღეს დავაყრიდი! —წიოდა ბაღიდან ხ...ლ-ცარიელი დაბრუნებული ანტონინა ნიკიტიშნა.

— გოგოები კი კანკალებდნენ და გათხვიპნილს წინ-საფრებს ხელით ისწორებდნენ.

ერთი საათის შემდეგ ზარები დარეკეს და მოსწავლენი სააღდგომო წირვაზე წაასხეს.

აღდგომილი ქრისტეს ნახვას მაინც ვერავინ ეღირსა.

**ი. ტატიშვილი.**

# ახალი ამბები

## ტფილისი

◆ **მ. ი. ნანობაშვილი (მიშელ დარიალი) ამერიკის სცენაზე.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ჩვენი თანამემამულე ოპერის მომღერალი მ. ი. ნანობაშვილი, რომელიც პარიზის სცენაზე მიშელ დარიალის სახელით არის ცნობილი, მომავალ ზამთრის სეზონისთვის ამერიკაში მიუწვევიათ თვეში 1,500 დოლარად (3.000 მან.) ამერიკის სცენაზე იმღერებს ხუთს თვეს. ამ გაზაფხულზე ბ-ნი ნანობაშვილი პარიზშია მიწვეული სარა ბერნარის თეატრში რუსულ ოპერების ფრანგულ ენაზე სამღერად.

◆ **უნივერსიტეტი ტფილისში.** ამ დღეებში კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიას, რომელმაც შეიმუშავა დაწვრილებითი პროგრამა 14 აპრილისთვის განზრახულ კრებისა. ამას გარდა, კომისიამ მოისმინა საგანგებო მოხსენება ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის სტიპენდიების შესახებ. გამოირკვა, რომ ამ ჟამად შესაძლებელია, ქალაქის თვით-მმართველობამ 11 სტიპენდია ტფილისის მომავალ უნივერსიტეტში გადმოიტანოს.

◆ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი სოჩას გაემგზავრა ორის კვირით.

◆ **აბრეშუმის ჭიის შეუმოწმებელი თესლი.** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარმა მეაბრეშუმემ ი. გ. ქუთათელაძემ მოიარა ხონი, ქუთაისი, სამტრედია, ოზურგეთი, ბათომი და დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილები და უკვე ტფილისში დაბრუნდა. ბ-ნს ქუთათელაძეს ბევრს ადგილას აბრეშუმის ჭიის შეუმოწმებელი თესლი აღმოუჩენია, რომლის ნიმუშებიც ტფილისში ჩამოიტანა გამოსაკვლევად.

◆ **მკაცრი ზამთრის შედეგი.** სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკურმა ბიურომ თავის კორესპონდენტებს დაავალა, დაწვრილებით აცნობონ მას, რა მდგომარეობაშია ნათესები და ხეხილები მკაცრის ზამთრის შემდეგ.

◆ **ნავთი გურიაში.** გურიის ნავთის მწარმოებელთა პირველ ამხანაგობის რწმუნებული ი. ვ. ტერვართანოვი და გეოლოგი ბ-ნი ურუშაძე უკვე გაემგზავრნენ გურიაში იქაურ ნავთიან ადგილებში წინასწარ მუშაობის დასაწყებად.

◆ **დამატებითი საქალაქო არჩევნები ბაქოში** 20 აპრილს მოხდება, აარჩევია 56 ხმოსანი და 16 მათი კანდიდატი.

◆ **ქალთა უმაღლესი კურსები ტფილისში.** თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენებისა, კავკასიის ნამესტნიკმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ქალთა უმაღლეს კურსების პროგრამა გაფართოვებულ იქმნას და იქ ოთხის წლის სწავლება იყოს შემოღებული, როგორც უნივერსიტეტებში.

◆ **ქართულ სასულიერო კონცერტის შემოსავალი.** 25 მარტს ნამესტნიკის სასახლეში ღარიბ სემინარიელთა სასარგებლოდ გამართულ სასულიერო კონცერტის წმინდა შემოსავალი 900 მან. იყო. ფული უკვე გადაეცა სემინარიის მთავრობას, რომელიც ღარიბ მოსწავლეთა შორის ამ ფულს საალდგომოდ გაანაწილებს.

◆ **შუამდგომლობა სოჩის ქალაქის თვითმმართველობისა** დედათა პროგიმნაზიის გიმნაზიად გადაკეთების შესახებ ნამესტნიკმა არ შეიწყნარა.

◆ **ქართული იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები.** შესდგა ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა აქვს, აღდგომის კვირაში წარმოუდგინოს მართოს. წარმოდგენილი იქნება „ქეთევან წამებული", ალ. ყაზბეგისა; „ცხოვრების გარშემო", გ. ფოცხოველისა; „ქრისტინე", ირეთელისა. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ, ქ-ნნი: კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ქ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი და სხვ.

◆ **იაფ-ფასიანი ლექცია სახალხო სახლში,** კვირას, 17 აპრილს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ა. ზ. ღვალაძე რუსულ ენაზე ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოსი ძველეს დროს და თამარ მეფის შემდეგ". ადგილების ფასი: 5 კაპ.-50 კაპ. დასაწყისი დღის 12 1/2 საათზე.

◆ **ექსკურსიები.** 11 აპრილს ტფილისში ჩამოვა განჯის წმ. ნინოს სასწავლებლების მოსწავლეთა ექსკურსია, რომელიც, სხვათა შორის, ინახულებს ფოთსა, ბათომსა, ქიათურასა, ჩაქვასა, ბორჯომ-ბაკურიანსა და 17 აპრილს ისევ განჯაში დაბრუნდება.

◆ 12 აპრილს ტფილისში ჩამოვა ჭიათურის ექვს კლასიან სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსია 10 მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

◆ **ა. შანშიაშვილის დრამატიული პოემა „შვების თავადი"** იბეჭდება და მოკლე ხანში ცალკე წიგნად გამოვა. გამოცემა მ. ნემსაძისა.

◆ **შირვან-ზადეს იუბილეი.** სომხის ცნობილი დრამატურგისა და ბელეტრისტის შირვან-ზადეს 30 წლის იუბილეი. 7 მაისს გაიმართება. მილოცვის ბარათები, ადრესები და საჩუქრები უნდა გაიგზავნოს საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ამბარცუმ სერგეს ძე მელიქოვის სახელზე (ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, 8). ან კომიტეტის ხაზინადარის ნოტარიუსს ლევან იაკობის ძე მლებროვის სახელზე (ტფილისი, განოვის ქუჩა, 4)

◆ **წერა-კითხვის საზოგადოებაში.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება 21 აპრილს მოხდება. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საზოგადოების 1909 და 1910 წლის მოქმედების ანგარიშებს.

◆ **გაზეთის დახურვა.** გუშინ ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა „მავნე მიმართულებისთვის" ქართული გაზეთი „ახალი საქმე".

◆ **ახალი ქართული გაზეთი.** დღეიდან ტფილისში გამოდის ახალი ყოველდღიური გაზეთი „ცხოვრების საქმე" რ. ლ. ყიფიანის რედაქტორობით.

◆ 7 აპრილს, **ტფილისში დაბრუნდა** მეფის მოადგილეს მიერ დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ადგილობრივ გამოეკვლია, თუ რა ზარალი მიაყენა წელს სოფლელებს არჩვეულებრივმა ზამთარმა და განაწილება შეგროვილ და შემოწირულ ფულებისა.

◆ 7 აპრილსათვის დანიშნული **ქართული კლუბის კრება არ შესდგა,** რადგანაც კრებაზე სულ 10 კაცი მოვიდა. ამის გამო კრება უკანასკნელად 23 აპრილისათვის გადაიდო. მაშინ კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კერძო თათბირიდან გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით კლუბის წევრებად 400-მდე კაცი ყოფილა ჩაწერილი. საწევრო გადასახადი უკვე 150 კაცს შემოუტანია.

◆ ანგარიში ქართვ. შორ. წ.-კით. გამავრცელებელ **საზოგადოების მოქმედებისა 1909 და 1910 წლებისა უკვე დაიბეჭდა.** ანგარიშიდან სჩანს, რომ საზოგადოებას 1911 წლამდე ჰქონია: 13 სკოლა, 22 ბიბლიოთეკა-სამკითხველო და 13 საზოგადოების განყოფილებანი.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი **„თხზულებანი ეკატერინე გაბაშვილისა",** ქართ. შორ. წერ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამოცემული. წიგნში ჩართულია ორი სურათი ჩვენის ცნობილის მწერალ ქალისა, კრიტიკული განხილვა და ბიოგრაფია კიტა აბაშიძისა. წიგნი მშვენივრად არის გამოცემული, შეიცავს 584 გვერდსა და 1 მან. და 20 კ. ღირს.

◆ ქართულ თეატრში 11 აპრილისათვის დანიშნული ან. ფურცელაძის ისტორიულ დრამის „დიდ მოურავიანი"-ს წარმოდგენა საკვირაოდ, 17 აპრილისთვის გადაიდო.

◆ **სკოლის რევიზია.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობამ გამგეობის წევრს დ. ბოცვაძეს დაავალა წელს დაათვალიეროს: სკოლების ბიბლიოთეკები და განყოფილებანი, რამდენსაც კი მოასწრობს. ბ-ნ ბოცვაძეს აღდგომის წარსულ კვირაში უკვე დაუთვალიერებია: გიორგიწმიდის, ყალამშიის და გომარეთის სკოლები.

◆ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ციციშვილებს საერთო მთების გაყიდვა ჰქონდათ განზრახული. ეხლა, როგორც გავიგეთ, ამ მამულებს მხოლოდ იჯარით აძლევენ.

◆ სტუდ. ი. გველესიანი, რომელიც 15 კაცთან ერთად დააპატიმრეს უკვე გაანთავისუფლეს; მას 132 მუხ. მე-2 ნაწ. ძალით სამართალში აძლევენ.

◆ **აბრეშუმის თესლი.** როგორც გადმოგვცეს, კავკასიაში წელს აუარებელი აბრეშუმის თესლია შემოტანილი უცხოეთიდან, რომლის უმეტესი ნაწილი უვარგისია. თუმცა ფასები ჯერ-ჯერობით არ არის დიდი (1—2 მან. კოლოფი), მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ სოფლელები სიცივებისა და უფულობის გამო ჯერ ვერ იღებენ თესლს. დიდი ზამთრისა გამო სოფელს მოესპო ყოველ-გვარი წყარო შემოსავლისა. წინა წლებში სააღდგომოდ სოფლელი გაჰყიდდა თავის ნაწარმოებს და აღებულის ფულით იძენდა აბრეშუმის თესლს, წელს კი მას არც წვრილ-ფეხა საქონელი მოეპოვება გასასყიდად და არც მიწის ნამუშევარს აქვს შესაფერი ფასები რომ გაჰყიდოს. სიმინდის ფასი ისე დასცეს ვაჭრებმა დასავლეთ საქართველოში, რომ გლეხი შესაძლებლად სცნობს, სიმინდი გაჰყიდოს ამ ფასებში—ფუთი 35—40 კ. ჯერ-ჯერობით სიმინდის გამოტანა ბაზარზე შეჩერებულია, მაგრამ განა სოფლელი მოითმენს ამდენს. გაჭირვება აიძულებს მას ჩალის ფასად გაჰყიდოს თავის ნაწარმოები. მეაბრეშუმეობის ბაზარზე წელს ბევრი თესლია უვარგისი, და მასთან კიდევ 6 მისხლიან კოლოფებში სამ-სამი მისხალი თესლია ჰყრია და ექვს მისხლად იყიდება. საჭიროა მეაბრეშუმეებმა თესლის ყიდვის დროს კოლოფები გაახსნევინოს და შეამოწმოს, რამდენი მისხალია შიგ. წინა წლებში ოსმალოს მთავრობა (საიდანაც მოაქვთ უმეტესი ნაწილი ჩვენში შემოტანილ თესლისა), არ აძლევდა მეთესლეებს ნებას ექვს მისხალზე ნაკლებ წონის თესლი ჩაჰყაროს კოლოფებში რომ არ მოსტყუვდნენ მეაბრეშუმეები. წელს მეთესლეებმა ეს ნებართვა იშოვეს ფულის საშუალებით. მთავრობა იღებს თითო ბანდეროლში 2 კაპ., ე. ი. 6 მისხლ. კოლოფში აიღებდა 2 კაპ. წელს კი 3 მისხ. აიღებს 2 კაპ. და სხვა.

◆ სადგურ სანაინში რკინის გზის მოსამსახურეთა დასასვენებელ ბინის (ხის შენობას) ექვს აპრილს საღამოს მთიდან მოგლეჯილი დიდი ქვის ლოდი მოხვდა, შეამტვრია კედელი და ამ სადგურის დარაჯს ერთი ბავშვი მოუკლა, მეორე კი მძიმედ დასჭრა. დაჭრილის მორჩენი იმედი არ არის,

◆ ავდრის გამო ძლიერ გაძნელდა სანოვაგის შემოტანა, რის გამოც აღდგომის კვირაში სანოვაგის ძალიან სიმძვირე იყო.

◆ აღდგომის წინა დღეებში ქალაქში საფუარი (დროჟი) აღარ იშოვებოდა, საკანდიტროებს აუარებელი ხალხი მოაწყდა, მაგრამ იქაც აღარაფერი აღმოჩნდა და თუ ვისმე ჰქონდა, ისიც გირვანქას 4 მანეთად ჰყიდდა.

## ქუთაისი

◆ **შესდგა ახალგაზრდების წრე, რომელმაც ხელი მიჰყო პატარ-პატარა წიგნების თარგმნასა** და თავის ხარჯით გამოცემას.

◆ **ექიმს როდზევიჩს,** სადოსტაქრო საავადმყოფოს გამგეს, ქუთაისში ამ დღეებში მოელიან.

◆ **ხარჯ. ამკრეფ ინსპექტორად** ილ. ჩიქოვანის ნაცვლად სენაკის მაზრის ინსპექტორი ბ-ნი აფანასიევი დანიშნეს.

◆ **სოფლებიდან ამბავი მოდის, გახშირებულის წვიმების გამო სამეურნეო მუშაობა მეტად შეფერხებულიაო.** გაზაფხული იმდენად დაგვიანებულია, რომ ბევრს დღეს ვენახი არც კი აქვს გასხლული. ამნაირადვე დაგვიანებულა ხვნა-თესვაც.

◆ **ქუთაისის გუბერნატორმა შეაჩერა ქალაქის საბჭოს დადგენილება,** რომლითაც უყურადღებოდ იყო დატოვებული საკითხი საკათედრო ტაძრის გარშემო ქვიტკირის გალავნის გაკეთების შესახებ, და განსახილველად გადასცა ეს საკითხი საქალაქო საქმეთა საკრებულოს. („კოლხიდა").

## სოხუმი

◆ **აქაურ საავადმყოფოში სახადი გაჩნდა.** სახადი ერთს ავადმყოფს შემოეტანა საავადმყოფოში, გვიან შეამჩნიეს და მერე კი გადაიყვანეს ავადმყოფი ბარაკში, მაგრამ რას უშველიდა. საავადმყოფოს გამგე ექიმი ნარიშკინი და სამი-ოთხი მოსამსახურე ავად გახდარა. ამბობენ, საავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფები ყველა გადაიყვანეს, ვისაც კი ჰპირისუფალი ჰყავდა, უპირისუფლონი იქვე დასტოვეს.

## თელავი

◆ **ხანგრძლივ გვალვის შემდეგ წვიმები დაიწყო.**

◆ წვიმების გამო მთებში **თოვლმა დნობა დაიწყო,** რის გამოც ხევები ადიდდა. ალაზანიც დღითიდღე მატულობს.

◆ 2 აპრილს სიღნაღიდან გვესტუმრნენ **კახეთის რკინის გზის** ინჟინრები, რომელნიც საღ აპრილს ტფილისში გაემგზავრნენ.

◆ უკანასკნელ ცნობით, **კახეთის რკინის გზის სადგური თელავზე 3 ნახ. ვერსით იქნება დაშორებული.** ამნაირად სადგური თელავს ერთის ვერსით დაუახლოვეს. ინჟინერ ადრიანოვის გამოკვლევით, სადგური თელავს 4 ნახევ. ვერსით უნდა დაშორებოდა.

## ბაქო

◆ 6 აპრილს საღამოს აქ ჩამოვიდა ბაქოს ეპარქიის **ახალი ეპისკოპოსი პიმენი.**

◆ **6 აპრილს ბაქოში საშინელი წვიმა იყო.** შუადღისას ისეთი დიდი წყალი მოვარდა, რომ ყოველგვარი მოძრაობა შესწყდა. ბევრი დაბლობი ადგილები და სარდაფები წყლით აივსო. საწყალი ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა.

◆ 6 აპრილს, შუადღისას, ოსმან მუსა ოღლის ორსართულიან სახლის ზედა სართულის **კედელი ჩამოინგრა,** რის გამოც სახლში მყოფნი: მ. მ. სუხანოვისა თავის შვილით და მ. შვეცოვისა 11 წლის ვაჟით დაშავდნენ.

◆ 6 აპრილს შეიპყრეს პ. პ. ნეკრასოვი, რომელსაც სახელმწიფო ბანკში **550 მან. უნდა მიეღო ყალბის წიგნაკით.**

# სტიქიური უბედურება სოფ. კინჩხაში.

სოფ. კინჩხა მდებარეობს სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების საზღვარზე. მთელი სოფელი მოფენილია ასხის მთის კალთებზე და მცხოვრებლების უმთავრეს სამეურნეო დარგს შეადგენს საქონლის—მოვლა-მოშენება. საზოგადოდ სოფ. კინჩხა მთელ იმერეთ-სამეგრელოში ცნობილია თავის სილამაზით, რასაც ხალხის თქმულებაც ამართლებს—„გაიარე კინჩხაო და ვერ ვნახე შიგ ფიჩხაო". წრევანდელ ზამთარმა ხომ მთლად ხელი მოუღო კინჩხელებსა და მთელ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს. აუწერელია ის ზარალი, რაც სტიქიურმა უბედურებამ მიაყენა წელს აქაურ სოფლელებს. რამდენადაც ვიცით, ხსენებულ უბედურობის შედეგის გამოსაკვლევად მეფის მოადგილე გრაფ. ვორონცოვის მიერ გაგზავნილ კომისიას უკვე დაუმთავრებია თავის გამოკვლევა ზარალის რაოდენობისა და ამ დღეებში წარუდგენს გრაფ ვორონცოვ დაშკოვს. თითქო შეუბრალებელ სტიქიამ არ აკმარა ხალხს მის მიერ მიყენებული უბედურება და ის იყო ხსენებულ კომისიამ დააპირა ტფილისისაკენ გამომგზავრება და ამდროს დეპეშით ატყობინებენ მას, თუ რა უბედურება მოხდა სოფელ კინჩხას 26 მარტს, ნაშუადღევს 3-4 საათზე. კომისია გენ. ეროფეევის მეთაურობით გაემგზავრა სოფელ კინჩხას 4 აპრილს და ადგილობრივ შეამოწმეს მცხოვრებთა ზარალი. ზემოხსენებულ უბედურ დღეს, სოფ. კინჩხის ერთს ნაწილს, რომელიც შესდგება 18 კომლისაგან მოესმა მიწის-ძვრისსებური ხმა. ხალხმა ინსტიქტიურად იგრძნო თუ რა უბედურობა მოელის მას და უცბად გამოცვივდა გარედ, გამოიტანეს ვინც კი რა მოასწრო. 20 წუთის შემდეგ იგრიალა მახლობლად მთამ და წამოიღო მთელი ეზოები თავის შენობა ვენახ-ბაღებით. 18 კომლის ეზო-სახლკარობიდან გადარჩა მხოლოდ 7-ს ქონება-დიდებ.. კომისიის გამოკვლევით 11 კომლ. ზარალია 5500 მანეთს აღემატება. ჯერ-ჯერობით თითეულ დაზარალებულ კომლს მიეცა 75 მანეთით დახმარება იმ თანხიდან, რომელიც ხსენებულ კომისიის და ადგილობრივ გუბერნატორის განკარგულებაში იყო. ამ დღეებში მოხდება საგუბერნიო მმართველობის კრება, რომელზედაც მიწვეულ იქნებიან სახაზინო პალატისა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენლები. კრებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელ მაზრაში აღმოუჩინოს სახაზინო მიწა და როგორ მოათავსოს ზემოხსენებული (11—18 კომლი) ნაწილი სოფ. კინჩხის.

# ქუთაისის ამ-ბარბი

ნახევარ წელიწადმა განვლო, ვიდრე ქალაქის ახალმა საბჭომ მოახერხა თავისი აღმასრულებელი ორგანოს წევრების არჩევა. ბევრის ძებნისა და უფრო ლაპარაკის შემდეგ, ქალაქის თავი აირჩა და იგი კიდევაც შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. გამგეობის წევრის ბ. ნი მოსიძის დამტკიცებასაც დღეზე მოელიან და ამნაირად მოსიძის მუშაობა მცირე ხანში დაიწყობა.

ახლად არჩეული ხმოსნები ქალაქის საქმეებში გამოუცდელი ხალხია და დიდი შრომა დასჭირდებათ, ვიდრე შეეთვისებიან ახალ საქმეს; ჩვენ კიდევ მეტს ვიტყვით—პირველ ხანებში არსებითად არა გაკეთდებარა ან და თუ გაკეთდა ყოველისფერს შემთხვევითი ხასიათი ექნება.

თუ ახლა არჩეული ქალაქის თავი ბ-ნი ჩიქოვანი გამოუცდელია ქალაქის საქმეებში, ის უპირატესობა მაინც აქვს, რომ დიდიდან თავის გამოსვლისა საზოგადო ასპარეზზე, იგი თვალს ადევნებდა ყოველ საზოგადო საქმეს; სულ სხვა მდგომარეობაშია მისი ახლად არჩეული თანამშრომელი ბ-ნი მოსიძე; ამ უკანასკნელის შესახებ, ვიდრე იგი მთავრობის სამსახურში იყო, კარგის მეტი არა გამიგონია, ხოლო თუ საყვედური მსმენია, იგი იმაში გამოიხატება, რომ მას ჩვენი, შინაური საქმე იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მას შეუძლია დააინტერესოს ყოველი მოხელე, რა ეროვნებისა უნდა იყოს იგი; ჩვენს შინაურ, ქართულ საქმეებში მას თავის დღეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და შორსაც ეჭირა თავი. იქნება ასეთი პოლიტიკის აზრი ისიც იყო, რომ წინააღმდეგი მოქმედება მის პირდაპირ მთავრობას არ მოეწონებოდა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ვერც ამ პოლიტიკამ გასჭრა და ჩვენს საქმეებს დაშორებულმა ბ-ნმა მოსიძემ კვლავ ჩვენვე მოგვმართა გაჭირვებაში და სამოღვაწო ასპარეზი მოგვთხოვა.

ხმოსნებმა ხელ-გაშლით მიიღეს იგი და თავის კენჭები ფიანდაზად გაუშალეს. ეს ბ-ნ მოსიძეს კარგად უნდა ახსოვდეს და თავის ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რომ გაამართლოს ნდობა, რომელიც მას აღმოუჩინეს ხმოსნებმა, ხოლო ბ-ნი მოსიძესთანა გაჩინოვნიკებული მოხელეები ნუ დაივიწყებენ, რომ ჩინოვნიკს, რაც უნდა ერთგული იყოს თავის სამსახურისა, თუ განსაკუთრებით იგი „ინოროდცის" გვარს ატარებს, საფრთხე სწორედ იქიდან მოელის, საიდანაც ამის მოლოდინი არა აქვს.

***

1 აპრილს ქუთათურებმა ქუთათური ავტორის პიესა მოისმინა, თუ არა ვცდები, ქუთათური ცხოვრებიდან. მკითხველი მიხვდება, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი დიდ ხალხს მიიზიდავდა თეატრში. თეატრი მართლა საკმაოდ გავსილიყო ხალხით, თუმცა ამინდი ისეთი იყო, რომ კარგი პატრონი ძაღლს არ გააგდებდა კარში.

ილ. პონტელის „საშინელმა ბრძოლამ" აშკარად დაგვანახვა, რომ ავტორმა საშინლად იბრძოლა დრამატიულ ხელოვნებასთან, მაგრამ ძლეული თვითვე აღმოჩნდა, ხოლო დრამატიული ხელოვნება დონკიშოტი ამბობდა: შემისწავლე, შეითვისე ტეხნიკა თეატრისა, ცოტა რამ ღვთისაგან ნაბოძები ნიჭით ალიჭურვე და მაშინ ძლეული მე ვიქნები და გამარჯვებული—შენ.

ჩვენი დასი, რომ სინდისიერად ეკიდება თავის საქმეს, ეს ეხლა ყველამ იცის. ბ-ნი პონტელის „საშინელი ბრძოლისთვის" იგი, რაც კი შეიძლება მომზადებულიყო და თავისი ძალები შეევსო გასტროლერით, ბ. ნი ვალ. გუნიასახით.

დასსაც და ბ-ნ გუნიასაც არაფერი დაეშურვებინათ, რომ პიესა განსაცდელისაგან ეხსნათ და ამ მხრით გამარჯვებული გამოვიდნენ—ეს რომ არ ყოფილიყო, იქნება ოვაციების მაგივრად ავტორს სხვა ჰანგის ხმები გაეგონა, როცა სცენაზე გამოჩნდა დასსთან ერთად მადლობის გადასახდელად.

პიესის შინაარსი ჩვენის ცხოვრებიდან არის აღებული. ვექილ ელიძეს (გუნია), რომელიც არაფერს ერიდება, რომ თავისი სურვი-

ლი შეისრულოს, ორი რამ ამოქმედებს. უიმედო სიყვარული შეძლებული იზმაილაძის ქალის მენიკოს (ნ. ჩხეიძე) მიმართ და დირექტორად გახდომა სამთო-სამადნო საქმეში, რომლის ბატონ-პატრონი (არცკი ვიცი რა ნაირად) თავად-აზნაურობაა.

მენიკოს მამა იზმაილიძე, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მილიონები რჩება (იმერეთი და მილიონი—სწორედ არ გამიგონია!), თავის ქონებას ქალს უტოვებს და ძმა ბიჭებში გართული ვაჟი მისი ტიპო პირში ჩალა გამოვლებული რჩება! არ მოსწონს ეს ტიპოს და რაღა ლაპარაკი უნდა იმას, რომ ისეთი კაცის დახმარებას მიჰმართავს, რომელსაც თეთრი შავად შეუძლია უჩვენოს და საციმბიროდ გამზადებულ დამნაშავეთ რაღაც მანქანებით ამართლებს. ასეთი კაცია ჩვენი ნაცნობი ვექილი ელიაძე, რომელმაც ერთის წუთის წინად გაიგო, რომ მისი სატრფო მენიკო ხელიდან უსხლტება, ამის შემდეგ რაღა დარჩენია მას? იგი თანახმაა გააბათილოს მენიკოს მამის მიერ დატოვებული ანდერძი და ამისათვის ახლად კურს დასრულებულ ექიმს, ვალიკო იზმაილიძეს, მენიკოს ბიძაშვილს, ითანხმებს, რომ მან სასამართლოში განაცხადოს, რომ ანდერძის წერის დროს მენიკოს მამა სრულ ჭკუაზე არ იყო; ჯერ ეს ლაპარაკი გათავებული არ არის, რომ თვით მენიკო გაჩნდება ჩვენს უბრალო ვექილთან და მასვე სთხოვს დახმარებას ანდერძის დაკანონების საქმეში. ელიაძე თანახმაა ერთის პირობით—მთხოვნელმა უნდა მიიღოს მისი სიყვარული და რადგან ეს არ ხდება—კონფლიქტი აუცილებელია და იწყება „საშინელი ბრძოლა.“

საშინელი ამ ბრძოლაში ის არის, რომ მენიკო წუწუნობს სცენაზე, რომ დამხმარე არავინა მყავსო, ძმა უდიერად მექცევა და სხვა. სწორედ ამ დროს გაჩნდება ელიაძე და მცირე ბრძოლისა და დიდის თხოვნის შემდეგ მენიკო თანხმობას განაცხადებს ელიაძეს გაჰყვეს. აქ თითქო ბრძოლა თავდება, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ელიაძე უკმაყოფილოა თავისი ცოლისა, რომელიც ხელს არ უწყობს მის არჩევას დირექტორად.

ამას ჩვენ ვხედავთ მეოთხე მოქმედებაში და თან გვესმის, რომ უეპოლეტო და ეპოლეტიანი ჩინოსნები ფაცი-ფუცში არიან, ელიაძის სასარგებლოდ ეწევიან აგიტაციას, რომლის უდიდესი იარაღია სადილი და აუცილებელი ზუთხი.

მეხუთე მოქმედებას წარმოადგენს საგიტაციო სადილი, ზუთხით, ყანწით, ხანჯლისა და ხმლის ტრიალით, ლეკურით და სიმღერით; ამავე მოქმედებაში, თუ მეოთხეში, კარგად არ მახსოვს, კვლავ გამოჩნდება სტუდენტი მელიტონ ეგრიაშვილი (იმედაშვილი), რომლის შესახებ პირველ მოქმედებაში ვტყობილობთ, რომ იგი მენიკოს უყვარს და იმავე დღეს რუსეთში მიდის; მერე ის კვალწმინდად დაიკარგა, თუმცა ხმა დავარდა (ამ ხმამ მენიკომდისაც მიაღწია), რომ მელიტონი ჭკუაზე შეიშალაო. ეს ხმა მართალი გამოდგა, ვინაიდან ბ-ნმა იმედაშვილმა დიდის ხელოვნებით დაგვანახვა სცენაზე, რამდენად უიმედოა მელიტონის მდგომარეობა, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს მენიკოს გასწყვიტოს თავისი დამოკიდებულება ელიაძესთან და გამოაცხადოს, რომ იგი თავის სიცოცხლეს უერთებს მელიტონისას. ამით თავდება პიესა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პიესაში მონაწილეობას იღებენ ჩინოსანი ირაკლი (მგალობლიშვილი) და კნეინა ჟორდანაძისა, რომელთაც მეორე მოქმედებაში ვხედავთ ელიაძის კაბინეტში და აქ ირკვევა, რომ კნეინასა და ირაკლის სურთ „ჩააჩრჩონ“ კნეინას ქმარი და ჩვენს ვექილს რჩევასა სთხოვენ, როგორ მოვიქცეთო. მცირე ყოყმანის შემდეგ, ვექილი გულ-ახდილ შეყვარებულებს გზაზე აყენებს; ეს არის და ეს.

შინაარსიდან დაინახავდა მკითხველი, რომ ავტორს ფართოდ განუზრახავს პიესა და ეს გარემოება უმთავრესი მიზეზია იმისი, რომ მას აკლია მთლიანობა, თანდათანობა; ერთი მოქმედება პიესაში მეორისაგან არ წარმომდინარეობს და კაცს ეგონება ყოველ ფარდის ახდით ახალი პიესა იწყებაო. ეს გარემოება, რასაკვირველია, ერთ მოქმედებისგან მიღებულ შთაბეჭდილებას მეორეში აქარწყლებს, ამიტომ არტისტსაც უჭირს განახორციელოს მისთვის ჩაბარებული როლი. მიუხედავად ამისა, პიესაში ურევია ცოტად თუ ბევრად მოხდენილად დაწერილი სცენა; ჩვენმა არტისტებმა ისარგებლეს ამ მასალით, მკვირცხლად გადმოგვცეს ეს სცენები და პიესამაც საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოახდინა.

ე. კ. ქ.

# მოწერილი ამბები

**სოფ. კულაში** (ქუთაისის მაზრა) „სახალხო გაზეთის“ მკითხველებს ამას წინედ შევპირდით ამ სოფელში დაარსებულ ბაზრის კურთხევის შემდეგ გაგვეცნო მათთვის, ვის რა მხრით მიუძღვის შრომა სოფელში ამ საქმის დაგვირგვინებაში,

კულაში ბაზრის დაარსების აზრი დიდიხანია არსებობდა, მაგრამ დღემდე შინაური, თუ გარეშე მიზეზების და დაბრკოლებანის წყალობით ვერ დაგვირგვინდა. წელს კი ნებართვა აიღეს. გარდამ, ალექსანდრე და ივანე ბოჭორიძე მიქელაძეებმა, ალექსანდრე ნიკოლაძე და ხუტუნია ბიკტორიაძე მიქელაძეებმა და ალექსი კიკაჩეიშვილმა ბაზრის მოედნისთვის ადგილი შესწირეს და ამით ბაზრის გახსნას ძალიან შეუწყვეს ხელი. ამორჩეული იქმნა ბაზრის მომწყობი კომისია, რომელშიაც შევიდნენ: თავად-აზნაურობის მხრით თავ. ასლან როსტომისძე მიქელაძე, გლეხების მხრით: ბესარიონ ხვიჩია, ზ. შენგელია, გ. ნინუა, ბ. ნიკურაძე და თ. ღლონტი; ხოლო ებრაელების მხრით ელიო ბოთერაშვილი; კომისიის საერთო ხელმძღვანელად და თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ერასტი ფეხაძე. საქმისადმი დიდი ერთგულობა და უნარი გამოიჩინა მთელმა კომისიამ. სწრაფად და ლამაზად გაშენდა აუარებელი კარვები, სასწორი, და სხვა საჭიროებანი. 11 მარტს იყო პირველი ბაზრობა, 18-ს მეორე მოხდა, სადაც აუარებელი ხალხი მოეზღვავდა და გაჩაღდა ყიდვა-გაყიდვა. 25 მარტისთვის დაინიშნა ბაზრის კურთხევა. 25 მარტს, ხარებას, ბაზრის კურთხევის დღეს საშინელი ტარისი დადგა, კოკის პირული წვიმა მოვიდა. მიუხედავად ამისა კურთხევა მაინც მოხდა. მღ. ს. შენგელიამ შესაფერი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. კურთხევის შემდეგ თავ. ფარსადან მიქელაძის სახლში გაიმართა სადილი.

ვარლამ იმერელი.

**სოხუმი.** ქ. სოხუმის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება მოხდა ქალაქის თვით-მართველობის დარბაზში 27 მარტს. კრებას დაესწრო 677 წევრთაგან 297 წევრი. კრების თავმჯდომარედ ერთ ხმად არჩეული იქმნა თ. ალ. შერვაშიძე, მდივანი—ნ. ჯანაშია. კრებას მოხსენდა პირველად ანგარიში 1910 წლისა და ბანკის საზოგადო მდგომარეობის შესახებ. ცოტა კამათი გამოიწვია ამ გარემოებამ, რომ წლიური ანგარიშები წინდაწინ ვერ დაეგზავნათ ბ.ბ. წევრთათვის. თვით ბანკის ხელმძღვანელი თ. თავდგირიძე თხოულობდა კრების გადადებას იმ დრომდე, სანამ დაბეჭდილი ანგარიშები არ დარიგდებოდა (ორი-სამი კვირა), მაგრამ კრებამ ორი ხმის წინააღმდეგ ანგარიში დაამტკიცა. ბანკის საქმეები საზოგადოდ კარგად მიდის და ყოველ წელს ეტყობა წინსვლა და წარმატება. ბანკის გამგეთა წინადადებით, კრებამ გარდასწყვიტა—თავისს შენობას ზედ მეორე სართულიც დაადგას, რისთვისაც გადადებული იქმნა ორმოცი ათასი მანეთი, ამავე საგნის სასარგებლოდ დასტოვა ამ წლის წმინდა მოგებაც—11 ათას მანეთზე მეტი. კრების მოხსენდა აგრეთვე გამგეობის აზრი: წევრთა საერთო კრება შეცვალოთ წარმომადგენლობითი სისტემით, მაგრამ კრებამ ეს აზრი დროებით უარჰყო, გავეცნობით ამ სისტემის ავსა და კარგს და მაშინ მოგახსენებთო ჩვენს აზრს.

ამის შემდეგ არჩევნებს შეუდგნენ. არჩეული იქმნენ ისევ ძველები: გამგეობის წევრად ბ. გ. ი. კოტლიაროვი და რჩევის (Совѣтъ) წევრებად ი. ცეცხლაძე და ზ. თურქია; სარევიზიო კომისიის წევრებად კი: მ. ატმანიანცი, ა. გერგობიანი და ან. დადიაძე, ხოლო მათი კანდიდატები: იასონ ბებელაშვილი, პ. ჭურღია და ა. მარიეტტი, ისევ ძველები.

ჭამუდნელი.

# პასუხად ბ-ნს ბახველს

რასაკვირველია, არავისთვის დაფარული არ არის, რომ ქვეყანაზე ბევრი ბოროტი ხალხი არსებობს და რომ ეს ბოროტი სულნი განსაკუთრებით მაშინ გამოიჩენენ ხოლმე ბოროტებას, როცა ქვეყანაზედ სიკეთე და სათნოება მეარდება. მათ ეს სიკეთე სულს უხუთავს, მოსვენებას არ აძლევს და ამიტომ არის, რომ სწორედ ამ დროს გამოიჩენენ ხოლმე ესენი თავის კლანჭებს. ასე მოიქცა ბ-ნი ბახველიც: როცა ქუთაისის თეატრი თითქოს მტკიცე გზას დაადგა, როცა ყველგან მადლობა და კმაყოფილება ისმოდა ქუთაისის დასის მოღვაწეობით, ბ. ბახველმაც მაშინ მოისურვა წაკვრა თავისი ფეხი დონეზედ დაყენებულ საქმისთვის.

თუმცა, უნდა მოვახსენო პატივცემულ მკითხველს, რომ ამ შემთხვევაში ბოროტი სულის კლანჭი უფრო კატის კლანჭივით იფხუკნება, ისე რომ საშიში არავისთვის არის. მკითხველ საზოგადოებისადმი და ბეჭდვით სიტყვისადმი პატივისცემა რომ არ გვაიძულებდეს, მის წერილზედ (21 მარტი „ბათომის მოამბე“) პასუხსაც არ გავცემდით.

ბ. ბახველის კატის კლანჭები, უპირველეს ყოვლისა, იმაში სჩანს, რომ იგი თავის თავსაც ეწინააღმდეგება. მაგ. იგი ამბობს, რომ ქუთაისში ამ ბოლო დროს თეატრის საქმე კარგად მიდისო შედარებით წინანდელთან. მერე კი, როდესაც არტისტებს ეხება სათითაოდ, გამოდის, რომ არც ერთი მათგანი არ ვარგა, გარდა სამისა.

შემდეგ ავტორი ეხება იმ ბანალურ ჭეშმარიტებას, რომ არტისტისთვის განათლებაა საჭირო და აქედან კი ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საჭიროა არა პროფესიონალური არტისტების ყოლაო. ის კი ავიწყდება ბ-ნ ბახველს, რომ, თუ არტისტისათვის საზოგადო განათლებაა საჭირო, მით უმეტეს პროფესიონალური სკოლის გავლა იქნება მისთვის აუცილებელი და, თუ ეს უკანასკნელიც არ არის, მაშინ პროფესსიონალობამ მაინც უნდა დაიკავოს ამის ადგილი.

დრო არის დავგმოთ და მივატოვოთ ძველი ქართველური ჩვეულება, როდესაც ერთ და იმავე კაცს შეეძლო მხედრ-მთესველობაც, მჭედლობაც, მეთევზეობაც და სხვა. ეხლა სხვა დრო დადგა. ყოველ საქმეს სპეციალური სწავლა და გაწაფვა-გაროჯიშობა სჭირდება. ჩვენ დროში, სხვათა შორის გვდარა კეთდება რა. ასეთ გზას არ უნდა მივყვეთ, თუ გვსურს კულტურულ ხალხს არ ჩამოვრჩეთ, განსაკუთრებით ისეთ საქმეში, როგორც არის სასცენო მოღვაწეობა. ცუდი საიმედო პატივის მოყვარეობა და ამხანაგების გასწორების სურვილი, რომელზედაც ბ-ნი ბახველი მიგვითითებს, როგორც არტისტის წარმატების სტიმულზედ. ეს კარგს არას მისცემს სცენას და არც თავის თავად არის სასურველი.

ესეც რომ იყოს, წარმოვიდგინოთ წამს, რომ, მაგ. ბ-ნი ბახველი ისეთი დიადი არტისტი ბრძანდება, რომ მისთვის რეპეტიციებზედ დასწრება საჭირო არ არის, რა თქმა უნდა, დასში ყველა არტისტი ასეთი დიადი ნიჭით აღჭურვილი არ იქნება. ამიტომ სხვა არტისტისათვის საჭიროა რეპეტიცია და თვით დიადი მსახიობის დასწრებაც, რადგანაც პირველისათვის საჭიროა შეენიოს მეორის ლაპარაკს, მიხვრა-მოხვრას, სცენაზედ. თავის დაჭერას და ყველა ამას შეუფარდოს თავის თამაშიც. მაშასადამე რეპეტიციაზედ დასწრება ყველა მსახიობისათვის საჭირო ყოფილა, რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი იყოს იგი; ამისათვის კი არ გამოდგება ის, ვინც ათას საქმეს ეპოტინება. თუ ბ. ბახველს ისა სწყინს, რომ დრ. საზ.—ის გამგეობამ რამდენიმე არტისტი არ მიიღო დასში და ის ალაპარაკებს, ამაშიაც არა არის რა დასაძრახისი. რისთვის არის გამგეობა, თუ იგი არჩევით არ მოიწვევს არტისტებს. ეს ხომ ის დაწესებულებაა, რომლის საშუალებითაც დასისა და საზოგადოების შორის კავშირია. როგორ გასცეს გამგეობამ პასუხი და წარმოუდგინოს ანგარიში საზოგადოებას, თუ მას მსახიობთა არჩევის უფლება არ ექნება. ან რა მოხდება მაშინ გამგეობას? მეორე მხრით კი იგი საჭიროა, როგორც ორგანო საზოგადოებისა, რომლის შემწეობითაც საზოგადოებას შეუძლიან ალაგმოს არა სასურველი არტისტის თარეში, თუ ვინიცობაა ასეთი გამოჩნდება.

თუ იმას იკითხავთ, რა მიზეზით არ მოიწვია გამგეობამ რამდენიმე არტისტი დასში, ამაზე მოგახსენებთ, რომ დასის გარეშე მყოფ არტისტებში გამგეობა ნიჭიერ არტისტად სთვლის მხოლოდ ბ-ნ ჩარკვიანს და აპირებდა კიდეც მის მოწვევას, მაგრამ დასში მოწვეულ მსახიობთ მის მოწვევის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადეს, გამგეობაც მათებურად მოიქცა, რომ დასში უკმაყოფილება არ დაბადებულიყო.

თუ ამ „დაჩაგრულ“ მსახიობთა უკანასკნელ თხოვნა შაბათ-კვირის წარმოდგენებისთვის დათმობის შესახებ გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა, ამის მიზეზი, მგონია, ადვილი მისახვედრია: გამგეობას ამ ჟამად გაზაფხულის სეზონი აქვს. წარმოდგენების დღეები კი ამ სეზონში ცოტაა. შაბათი და კვირა რომ სხვის დაუთმოს, თავის წარმოდგენები როდისღა გამართოს?

ამის შემდეგ ბ. ბახველი ბრძანებს, რომ გამგეობის წევრნი თეატრში არ დადიან და არტისტებს არ იცნობენო. არ ვიცი, სხვისი სიტყვით ლაპარაკობს ბ. ბახველი, თუ თვით უთვალთვალა როდისმე თეატრში. ან იქნება გამგეობის წევრებს არ იცნობს. იძულებული ვარ, ასე ვიფიქრო, რომ ავტორს წარბშეხრილი სიცრუვე არ შეეწამა, რადგანაც არცერთი წარმოდგენა არ ყოფილა, რომ რამდენიმე გამგეობის წევრი არ დასწრებოდა მას. შესაძლებელია ერთგვარად ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად არტისტებსაც ეცნობიან, ესაუბრებიან სხვა და სხვა კითხვებზედ და ხელოვნებაზედ.

ისე რომ ძნელი გამოსაცნობია, ვიზედ ბრძანებს ბ. ბახველი, რომ გამგეობასთან დაახლოვება მხოლოდ პირმოთნე არტისტებს შეუძლიათო. ჩვენი არტისტების სასახელოდ უნდა ვსთქვა, რომ მათში არც ერთი ამგვარი არ არის. არავინ არ იმცირებს თავს გამგეობის წინაშე და თვითეულ წევრს ისე უჭერიან და ექცევიან, როგორც თანასწორს. ეს ასეც უნდა იყოს, და ამაზე ლაპარაკიც მეტი იქნებოდა ბ. ბახველს რომ არ დასიზმრებოდა, რომ თავმოყვარეობა მხოლოდ ჩვენ ვითამც და დევნილ ნიჭთა პრივილეგია იყოს.

ეს საშინელი ცილის წამებაა როგორც გამგეობისა, ისე მსახიობთა და აიხსნება მხოლოდ ქვენა-გრძნობათა ბობოქრობით ავტორის გულში. თუ ეს ასეა, ტლანქი და ორგანიული ეპითეტი „ბიუროკრატიულ-კონსპირატიული“ ქ. დრ. საზ. გამგეობას არ შეეხება.

რაც შეეხება დასის არტისტების ნიჭს, ამის დაფასება საზოგადოების საქმეა. იგი კი რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტის სიმპატიით და ყურადღებით ეპყრობა ქუთ-ის დასს როგორც თვით ქუთაისში, ისე ტფილისშიც, რასაც ბ-ნ ბახველიც ამოწმებს.

აი ასეთია ბ-ნი ბახველის „კლანჭები“. იგი, როგორც უბიდო კბენა, ვერავის ვერას დააკლებს, გარდა თვით იმ ორგანოსი, რომელიც საქმის გაუკებრად უყოყმანოდ წერილს ათავსებს თავის ფურცლებზედ, ოღონდ სვეტები შეავსოს. ამით კი იგი საზოგადო საქმეს აფერხებს და რეპუტაციურ ორგანოს როლს ასრულებს.

ქუთ. დრამ. საზ-ის გამგეობის მინდობილობით №№

# დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრ. სააგენტოსაგან)

7 აპრილი.

## საზღვარ-გარედ.

**თეირანი.** მეჯლისში შეიტანეს კანონ-პროექტი, რომლითაც მარილზე გაწერილ ბაჟს სპობს. ეს ბაჟი რუსეთის ვაჭართა უფლებებს ჰზღუდავს.

**ტანჟერი** „ჰავასის“ კორესპონდენტი რაბატიდან იტყობინება, რომ ხალხი აჯანყებულა. ქალაქი ალყებულია. ეს ხმა ჯერ არავის დაუდასტურებია.

**პარიზი.** რაგი ბენიონარაიხენთა თემი აჯანყდა, საფრანგეთის კომისარმა ითხოვა, მოსაზღვრე ჯარები გააძლიეროთ. მას ნება მიეცა, რომ ორანში მდგარ დივიზიიდან მიიშველიოს ჯარი.

**სტამბოლი.** პალატა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. მინისტრმა სთქვა, რომ სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება გვაქვს და ამის დაცვა სასურველიაო. მან განაცხადა, რომ აპირებენ სტამბოლში მოიწვიონ ოსმალეთ-სპარსეთის შერეული კომისია, რომელიც ურმიის საკითხს გამოარკვევსო.

ერთობისა პროგრესის კომიტეტი უარს ჰყოფს ამ ხმებს, ვითომ იგი ორად გაიყო. უმცირესობა უმრავლესობას დასთანხმდა, რომ კომიტეტის წევრები, პალატაში კომიტეტის მიერ 2 აპრილს დადგენილ მუხლების საწინააღმდეგოდ არ გამოვიდნენ.

**სტამბოლი.** სრულიად მსოფლიო ფედერაციის კონგრესზე 300 ქალი შეიკრიბა. რუსების დელეგატად ბარონ ნიკოლაია. მოვიდა მრავალი პროფესორი. კონგრესი 11 აპრილს გაიხსნება.

რუსისა და მემონის საქმის თაობაზე დატუსაღებული მოხელე საიდი განთავისუფლეს.

ტუზას ახლოს ალბანელები ოსმალების რაზმს თავს დაესხნენ და უკან დაახევინეს.

ერთობისა და პროგრესის პარტია ორად გაიყო. 53 წევრი განცალკევდა. მათ პარლამენტში ლიბერალური უმცირესობა შეადგინეს.

**ბიზერტა.** ისპანიის კრეისერმა „კატალუნიამ“ დეპეშით ბრძანება მიიღო, მაროკოს ნაპირებისაკენ წადიო.

**მიუნხენი.** მთავრობის განკარგულებით უცხოელთა მიღება პოლიტეხნიკუმში შეზღუდულია. რუსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ მათ ან სიმწიფის მოწმობა ექნებათ, ან იმისი, რომ მათ რუსეთის პოლიტეხნიკუმში უსწავლიათ. რუსების მიღება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი რუსი გავა პოლიტეხნიკუმიდან.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** კანონების კრებულში დაბეჭდილია: უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს შემდეგი დადგენილება: 22 სექტემბერს 1909 წ. უმაღლესად დამტკიცებული მინისტრების გადაწყვეტილება საშუალო სასწავლებლებში ებრაელების მიღების შესახებ უნდა შესწყდეს იმ რიგად, რომ ამ გადაწყვეტილებაში მოხსენებული ებრაელების უფლებათა შეზღუდველი ნორმები დაცულ იქმნეს არამც თუ ბრძანება ჩამოთვლილ სასწავლებლებში, არამედ მაშინაც კი, როდესაც ახალ-გაზრდები ექსტერნებად მივლენ გამოსაცდელ ეგზამენებზე უკანასკნელ შემთხვევაშიაც ისევე უნდა იხელმძღვანელონ ნორმით, როგორც მიღების დროს.

**ლიბავა.** სავაჭრო ნავ-სადგურის მუშების გაფიცვა თითქმის გათავდა. მხოლოდ ხე-ტყის საწყობთა მუშები არიან გაფიცულნი. ესენი ითხოვენ, რომ საათში 50 კაპ. მოუმატოთ.

**ოდესა.** სპარსეთის ყოფილი შაჰი მაჰმედ-ალი ოჯახობით დაბრუნდა.

**პეტერბურგი.** 7 აპრილს ინჟინერი გერდე ელექტრონის მუხას შეთოდითა სინჯავდა, მაგრამ ელექტრონის ნაკადულმა მოჰკლა.

## ფ რ ე ნ ა.

**ბერლინი.** დირიჟაბლი „პარსევალ მე-6“ 7 აპრილ ამსტერდამისაკენ შეუსვენებლივ გაფრენას აპირებს. ფრენის დრო 14—16 საათი ნავარაუდევი.

**ბერლინი.** დირიჟაბლი „პარსევალი-6“ ათი მგზავრით ღამის 4 1/2 საათზე აფრინდა.

**ბრაუნშვეიგი.** პირის ქარის გამო „პარსევალი მე-6“ მშვიდობიანად ჩამოეშვა: დირიჟაბლი დაშალეს და რკინის გზით უკან გაგზავნეს.

**განნოვერი.** დირიჟაბლი „პარსევალი მე 6“ შუადღის 12 საათ. და 15 წუთზე იზენბიუტტელსა და ლეიფერდეს შუა დაეშვა. ბრენნევენბიურგთან ნავი ორი ჰოლლანდიელი მხედარით ხეს მოედო და ჩამოეკიდა.

# წვრილი ამბები

**ხელოვნება ანტვერპენის სკოლებში.** ანტვერპენის სასწავლებლები თავიანთ შენობების გამშვენიერებას ძალიანა სცდილობენ. 1896 წ. დაწესებულია, რომ სამხატვრო აკადემიის ერთმა საუკეთესო მოსწავლეთაგანმა ერთი კლასი თავის ნახატებით მორთოს. ამისათვის მოწაფეს 3 ათასი ფრანკი ეძლევა. მუშაობა გამოცდილი პროფესორის ხელ-მძღვანელობით სწარმოებს. სურათების შინაარსს ისეთს იღებენ, რომ მთელი წყება გამოვიდეს. შინაარსი აღებული ხალხის ისტორიიდან და ადგილობრივ ბუნებიდან. ასე მორთული სასწავლებელი მართლაც რომ „ბავშვთა სახლია“. ძველი პედაგოგები სცდილობდნენ ბავშვებისათვის გონება კითხვითა და ფორმულებით განევითარებინათ, შემდეგ მას გიმნასტიკა და ხელის შრომა მიუმატეს, ეხლა კი სცდილობენ ბავშს მგრძნობიარობაც განუვითარონ. ამიტომაა, რომ ეხლანდელი სკოლები ყაზარმებს აღარა ჰგავს, როგორც ძველად იყო.

**ადამიანის ხორცით ვაჭრობა.**

ტოკიოს გაზეთები საშინელ ამბავს გადმოგვცემენ: უპოვიათ დიდი საწყობები, სადაც სხვა და სხვა ხარისხებად დაყოფილი **ადამიანის ხორცი და ენები დამარილებული ჰქონიათ.** ამ საქონლით ვაჭრობა, როგორც სჩანს, რამდენიმე წელიწადია სწარმოებს. ხორცს ჩინელები და კორეელები ყიდულობდნენ, რადგან სწამთ, რომ ადამიანის ხორცი წამალიაო. ერთს კაცს უყიდნია, მაგრამ არ განკურნებულა და საჩივარი აღუძრავს. ამ საჩივარმა გამოაქვეყნა ყველაფერი.

**მახეში გაბმული ეშმაკი.**

ჰუნგრეთში, სოფ. ტრენცზინში შემდეგი ამბავი მოხდა: ერთ გლეხის ცოლს ქმარმა ამერიკიდან 1,500 მან. გამოუგზავნა. დედაკაცი მახლობელ ქალაქის საფოსტო კანტორაში წავიდა ფულის მისაღებად, მაგრამ იქ პიროვნების დამამოწმებელი ქაღალდი მოსთხოვეს. ამ ქაღალდისათვის დედაკაცმა ადგილობრივ მოსამართლეს მიჰმართა. მოსამართლემ ქაღალდი მისცა და ურჩია: არავის უთხრათ ფულის ამბავი, რომ ქურდებმა ყურადღება არ მოგაქციონო. ამ დღეს დედაკაცს არ ეცალა და ფოსტაში ვეღარ წავიდა, ღამე მას რაღაც გრიალი შემოესმა და როცა გაიღვიძა შიშმა აიტანა: მის წინ ორი ეშმაკი იდგა. ეშმაკები რქიანები იყვნენ. ერთმა მათგანმა დედაკაცს უთხრა. მე ვარ ეშმაკი, შენმა ქმარმა მოპარული ფულები გამოგიგზავნა ეხლავე დამიბრუნე თორემ ქვესკნელში ჩაგაძვრენო. შეშინებული დედაკაცი ეშმაკებს შეეხვეწა, ხვალამდე მადროვეთო. მეორე დღეს ეს ამბავი დედაკაცმა ფოსტის მოხელეს უამბო. მოხელემ დედაკაცს არაფერი უთხრა, მაგრამ პოლიციას კი ყველაფერი შეატყობინა. პოლიცია ეშმაკებს დედაკაცის სახლში ჩაუსაფრდა და მეორე ღამესვე დაატუსაღა ეშმაკები. ერთი მათგანი თვით მოსამართლე გამოდგა. მეორე—მისი ნათესავი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ეს სურათი, სტამბოლელი ქართველი მღვდლის მამა ანდრია წინამძღვრიშვილისა, რომელიც გარდაიცვალა ამა 1911-ის წლის 17 თებერვალს ქ. სტამბოლში.

ნიშნად მისი კაცთ-მოყვარეობისა და საზოგადო შრომის პატივსაცემად, მიიღეთ ჩემგან ერთი წლის თქვენი „სახალხო გაზეთის“ ნომრების ფული 12 მან. და უგზავნეთ სტამბოლში მისი თანამშრომლობით, პეტრე აკაკი წერეთლის სახელობაზე დაარსებულ ბიბლიოთეკას. ამასთანავე თქვენი გაზეთის საშუალებით ვსთხოვ პატივცემულ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოებას, სასოგროდ მამა ანდრიას ქველ-მოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობისა

თილ ინებოს და მამა ანდრიას სურათი დაჰკიდოს ხსენებულ ბიბლიოთეკაში ზედ წარწერით:

„უკვდავი არის შენი სახელი, მამაო ანდრია“.

**ვლადიმერ ჯ. წერეთელი.**

—

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ წერილს.

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავისი წვლილი მოგვაწოდეს ს. დიდი-ჯიხაიშში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დასაარსებლად საჭირო თანხისათვის, რომელიც ერთდროულად ეთხოვებოდა მთავრობასაგან საზოგადოებას.

ფული მიღებულია შემდეგ პირთაგან:

ნიკო ნიკოლაძე 75 მან., ეპისკოპოზი დავით 50 მ., ექ. კ. ლორთქიფანიძე 15 მ., ი. ტ. ლორთქიფანიძე 10 მ., მღ. ვ. კახაძე 6 მ. 50 კ., მღ. გ. ნუცუბიძე 6 მ. 50 კ., მღ. ე. ლეჟავა 6 მ. 50 კ., მღ. ილ. კახაძე 6 მ. 50 კ., მღ. მ. ლეჟავა 6 მ., მღ. ნ. კაჭახიძე 6 მ., დ. დევიძე 6 მ., ან. ბ. ნემსაძე 5 მ., ა. ა. შუბლაძე 5 მ., ნ. ზ. ლეჟავა 5 მ., გ. გ. ჩომახიძე 5 მ., პ. ი. ქუთათელაძე 5 მ., მღ. ი. რუხაძე 5 მ., გ. გ. კოხრეიძე 5 მ., ი. გ. გელოვანია 5 მ., მღ. ბ. ვაშაკიძე 6 მ., პრ. ბ. კახაძე 3 მ. 50 კ., პრ. ი. ლეჟავა 3 მ. 50 კ., ექ. ე. ვაშაკიძე 3 მ., ს. ს. ნემსაძე 3 მ., ი. ი. ლეჟავა 3 მ., ა. ი. ჯვარიშეიშვილი 3., ნ. სოსელია 3 მ., ტ. შუბლაძე 3 მ., ტიაზ. ო. დარსაველიძე 3 მ. ა. დ. ხარაბაძე 3 მ., პ. ა. ლორთქიფანიძე 3 მ., პრ. ა. კაჭახიძე 3 მ., პრ. თ. კუხელაშვილი 3 მ., მღ. პ. ცაგერიშვილი 3 მ., ა. კ. ლეჟავა 3 მ., ი. მელქაძე 3 მ., ნ. ე. დევიძე 3 მ., ი. მ. ქუთათელაძე 3 მ., ა. კოხრეიძე 2 მ., გ. ს. სუსარიაშვილი 3 მ., პრ. კ. დარსაველიძე 2 მ.

გარდა ამისა დიდი-ჯიხაიშის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ 50 მ., წარმოდგენიდან 49 მ. 52 კ., ქსენონიდან 20 მ.

სულ ძველი შემოწირულებიანად შეადგენს 679 მ. და 67 კ., რომლიდან (იხილე სახალხო გაზეთი 1910 წლის № 99 ჩაც.) 500 მან. გადაეცა მამასახლისს წარსადგენად თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამართველოში, ხოლო დანარჩენი 179 მან. 67 კაპ. გადაეცა სოფ. დიდიჯიხაიშში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მომწყობ კომიტეტის წევრებს ნ. ე. და მ. ს. ვაშაკიძეებს და ანდ. ს. ნუცუბიძეს შესაძენელად ტელეგრაფის პოძებისა.

**მღ. მღ. სამსონ დევიძე.**

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში, ჩემს წერილს. ქ. ვარშავაში საბეითლო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო შესდგა. ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ სათვისტომოსთან ერთად დაარსდა სამკითხველო, რომელსაც სჭირდება პირველ ხანებში ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. რის გამოც იძულებული ვარ მივმართო თხოვნით სხვა და სხვა დაწესებულებას და აგრეთვე კერძო პირებს დაეხმარონ ამ ფრიად სასიამოვნო საქმეს, რითაც მოუტანენ დიდ სარგებლობას უცხო მხარეს მყოფ ქართველ სტუდენტობას.

შემოწირულებანი გთხოვთ გამოგზავნოთ მაისის ოცამდის ამ მისამართით: **Варшава, Ветеринарный Институтъ Ст. Хуціеву.**

ხოლო შემდეგ, ენკენისთვის პირველამდე: **Тифлисъ, Михайловскій пр. № 19.** იმავე პირს.

ამხანაგების მონდობილობით სამკითხველოს გამგე **შალვა ხუციშვილი.**

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც ფულით დახმარება გაუწიეს აკეთის უფასო სამკითხველოს. შემომწირველთა სია: პართენ ვადაჭკორიამ 1 მანეთი, ალექსი ნიკოლაიშვილმა 60 კ., ტიტიკო თალაკვაძემ 50 კ, ფერ. იესე მაღულარიამ 50 კ., თომა ნინიძემ 50 კ., მელქისედ. ჩხაიძემ 50 კ., სიმონ ბოლქვაძემ 50 კ., ნაგომრის აფთიაქისაგან 50 კ., ილარიონ უჯმაჯურიძემ 45 კ., პატრიკი თალაკვაძემ 40 კ., პეტრე სამსონიამ 30 კ., გიტო ნინიძემ 30 კ., მიხაკო მელუამ 30 კ., ივანე დ. კოპლატაძემ 25 კ., ჯაბა ჯაშიმ 20 კ., ასინეთი ურუშაძემ 20 კ., გეროსიმე ჩხაიძემ 20 კ., ივანე ა. კობლატაძემ 20 კ., იუსტინე კოპლატაძემ 20 კ., დომენტი კუტუბიძემ 20 კ.

სულ შესდგა 7 მ. 80 კაპეიკი.

სამკითხველოს გამგე

**მღვდ. კონსტანტინე შარაშიძე.**


# განცხადებანი

მუხრანის ხიდთან
## სამკურნალო
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახპახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამქაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—1003—58)

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგტაბეგიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ბეგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. გ. ბეჟბეკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. (1163—12)

◀ მშობიარეთათვის ▶
## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—84)

სუსუნატის წინააღმდეგ
ახალი წამალი
## „SALO-პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძვს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.

კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Метцль. 12429. (45—1014—9)



1 პირველი კავკასიური
## თესლეულობის დეპო
## ლარშე
1872 წლიდან არსებობს.

№ 10 მიხეილის პროსპექტი № 10.

ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების

## ნაცად თესლეულობას

საბოსტნოს
ყვავილებისას
მცენარეულისას
ხეებისას

და საუკეთესო საზრდოს იადონისათვის გირვ. 25 კ. პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე უფასოდ იგზავნება. (10—1121—10)

## ექიმი
ქ ბ ი ლ ი ს ა
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N2.

## პრემია

არტისტიული-საზოგადოება პორტრეტებისა აცნობებს ამ გაზეთების მკითხველებს, რომ იგი გასაოცრად მიმსგავსებულს, გადიდებულს სურათს, სიგანით 38 სანტ., სიმაღლით 48 სანტ., აძლევს სრულიად უსასყიდლოდ, ოღონდ კი ამ პრემია-პორტრეტის მიმღებმა თავის ნაცნობებსა და ნათესავებს გააცნოს ჩვენი საზოგადოება. გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი გვარი და ადრესი თქვენის ფოტოგრაფიის მეორე გვერდზე ამ ადრესით: Общество Семи-Эмаль, Лодзь N 172.

თქვენი სურათი დაგიბრუნდებათ სრულიად გაუფუჭებელი. გაგზავნ-გამოგზავნის ხარჯად გთხოვთ 95 კ. გამოაგზავნოთ მარკებით, ან ფას-დადებით. ჯგუფში იმ პირს, რომელიც უნდა გადიდებულ იქმნას, დაუსვით ნიშანი X. მიწერ-მოწერა რუსულად.

Метцль. 20846. (5—1130—5)

გაუფრთხილდით სიყალბეს!!
პროგიზორ
## გ. ფ. იურგენსის
ბორნო-ტიმოლის
—● საპონი ●—

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ კეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა.

ყველგან იყიდება.

1/1 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭ.—30 კ.

Метцль. 5215. (18—11781—2)

## გამომცემელნო! ვაჭრებო! კანტორის გამგენო! და ბუხჰალტერნო!

მანამ ვისმეს რაიმე სასტამბო საქმეებს შეუკვეთავდეთ—შემოიარეთ

## სტამბა „კულტურაში“

ტფილისი, ველიამინოვის ქ., № 18.

საქმეებს ყველა ენაზე ვიკვეთავთ და ვასრულებთ ლამაზად და მოხდენილად. (3—1226—1)

ორ მილიონ ბანკაზე მეტია გაყიდული.

## სინორჩესა და სილამაზეს
აძლევს
## ყოველ ქალის
სახეს
კრემი
## კაზიმი
მეტამორფოზა




სრულებით სპობს ფერიმჭამელას, მზის ნამწვს, სახის ლაქას, ნაოჭებს, ჭორფლსა და სახის სხვა ნაკლს. Метцль. 40721. (4—1214—2)

## საკერავი მაშინა
ზინგერის კომპანიისა
იყიდება
მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან




მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—20)

ბორჯომის საზოგადო საკრებულოში 1 მაისიდან
## გაიცემა ბუფეტი.
პირობების შესატყობად შემდეგის ადრესით მიჰმართეთ: ბორჯომი, ნ. მ. გალამუტოვს. (3—549—3)

## კავკასიური გუნებრივი
## კონიაკი „არარატი“
◀ ღირსებით კონკურენციის გარეშეა ▶

იყიდება საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

დასაკვეთად პირდაპირ ერევანში მიჰმართეთ პატრონს

## ს. პ. ეღიგაროვს,
ან ტფილისში ბ. მულიარსკის. (10—1207—5)



## ალექსანდრე თაბაგრის მაღაზია
## საკერავი და საქსოვი მაშინები

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

გრამოფონები, ველოსიპედები



და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთისა უკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეზეც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ.(თვიურად შემოტანით).ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყოველგვარის კარგად და ზომიერ ფასებში

გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

(50—269—18) ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.


## ტფილისის მეშჩანთა მამასახლისი

ტფილისის გუბერნატორის წინადადებისამებრ, აუწყებს ქ. ტფილისის მეშჩანებს (მოქალაქეთ), რომ: 1) მეშჩანთა საზოგადოების რწმუნებულთა (დეპუტატთა) არჩევნები, სამის წლის ვადით, 1911—1913 წ., რიცხვით 100 კაცი, მიმდინარე წლის 7 მაისამდის და საგუბერნიო მთავრობის მიერ დამტკიცებულ რწმუნებულთა საერთო დადგენილებისამებრ, უბან-უბან მოხდება: პირველ უბანში მოქცეულია 1, 2 და 3 საპოლიციო უბანი; მეორეში—4, 5 და 6 უბანი; მესამეში—7, 8 და 9 უბანი; მეოთხეში—10, 11 და 12 უბანი. ამასთანავე ასარჩევი 100 წევრი რწმუნებული ასე ნაწილდება: პირველი საარჩევნო უბანი 18 რწმუნებულს, მეორე—28, მესამე—32, მეოთხე—22. 2) ეს არჩევნები ყველა უბანში მეშჩანთა მამასახლისის (სტაროსტა) თავმჯდომარეობით მოხდება მეშჩანთა გამგეობის (ელისაბედის ქუჩა, № 23) ბინაზე, დილის 10 საათიდან შემდეგს დღეებში:

| | | |
|---|---|---|
| პირველ საარჩევნო უბანში | (1, 2, 3—18 რწმუნებ.) | —17 აპრილს |
| მეორეში . . . . . . . | (4, 5, 6—28 რწმუნებ.) | —24 აპრილს |
| მესამეში . . . . . . . | (7, 8, 9—32 რწმუნებ.) | —1 მაისს. |
| მეოთხეში . . . . . . . | (10, 11, 12—22 რწმუნებ.) | —8 მაისს. |

მეშჩანთა მამასახლისი იუწყება ამას და ტფილისის მეშჩანთ სთხოვს, ვისაც კი აღნიშნულს არჩევნებში საარჩევნო უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ მასში, უმნებად, თავის ნამდვილ ბინადრობის მიხედვით, რისთვისაც სთხოვს, თავის დროზე და რაც შეიძლება არჩევნებამდე დღით ადრე მაინც, შეიძინონ შესასვლელი ბილეთები, ურომლისოდაც საარჩევნო დარბაზში არავის შეუშვებენ.

საარჩევნო კრებაზე შესასვლელ ბილეთებს მისცემენ ყოველ დღე 14 აპრილიდან, დილის 10 საათიდან 2 საათამდე მეშჩანთა გამგეობაში, კვირაუქმისა და საუფლისწულო დღეებს გარდა.

ამასთანავე მეშჩანებს ვაფრთხილებთ, რომ კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ: ა) 25 წლისაზე ნაკლებთ, ბ) იმ პირთ, ვისაც მე-582 მუხ. მე-15 მუხ. დამ. (შენიშ.) კანონთა დებულების მე-IX ტომი 1899 წ. გამ. ხმის უფლება შეზღუდული აქვთ, და გ) იმათ, ვინც დღევანდლამდე კამერალურ ან არსებული წესით მეშჩანთა გამგეობის სიაში არ ჩაწერილან. (3—122—2)


საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
## ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი
## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
## ხიზილალა
ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

## საუკეთესო დოშები და ზურგიელები
## მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ.—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა